



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: განზრახვა სისხლის სამართალში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ნინო ჩახუნაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ თევდორაძე

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია.....	3
Annotation.....	4
შესავალი.....	5
თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა	7
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი	11
2.1. განზრახვის ადგილი დანაშაულის სისტემაში.....	11
2.2. განზრახვის სახეები.....	21
2.3. განზრახვის ინტელექტუალური და ვოლუნტატური ელემენტები.....	27
2.4. ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების გამიჯვანა.....	35
2.5. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენის მცდელობა.	42
2.6. განზრახვის ადგილი ობიექტური შერაცხვის ეტაპზე	47
თავი III. კვლევის შედეგები	50
დასკვნა.....	53
გამოყენებული ლიტერატურა	55

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემაში ქმედების განხორციელების ერთ-ერთი ელემენტის, განზრახვის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრას, თემაში მოცემულია ყველა ის დეტალი და ნიუანსი, რომლითაც, სიღრმისეულად იქნება გააზრებული განზრახვის ცნებისა და მისი სტრუქტურის სამართლებრივი მნიშვნელობა, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სისხლის სამართალში განზრახვის, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ მნიშვნელობას, ამავედროს აღნიშნული თემა დაეთმობა სამართლის დოქტრინაში არსებულ ყველა იმ მოსაზრების, შეხედულების და ვარაუდის განხილვას, რაც წლების განმავლობაში კრიტიკის საგანი იყო და დღესაც არ კარგავს თავის აქტუალურობას.

პირველ თავში განხილულია იმ ავტორების ნაშრომების მოკლე მიმოხლვა, რომლებიც განსაზღვრავენ განზრახვის მნიშვნელობას სისხლის სამართალში. მეორე თავში კი აღწერილია ის ძირიადი პრობლემური საკითხები, რაც წარმოქმნის ერთგვარ აზრთა სხვადასხვაობას განზრახვის არსის დასაბუთებისას და როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მნიშვნელობით დიდი დისკუსიის საგნია. მესამე თავი უკვე შეეხება საკიხის დასაბუთებას იმ ძირითად მასალებზე დაყრდნობით, რომელსაც მოიცავს აღნიშნული ნაშრომში.

Annotation

Master's work represents determination of the place and the purpose of intent, which is one of the element of action in the criminal justice system. The topic contains all the details and nuances in which will be deeply understood the legal meaning of the concept of intent and its structure, this work focuses exclusively on theoretical and practical meaning of intention in the criminal justice. At the same time, this mentioned theme will be devoted to consider all the opinions, considerations and suppositions in the doctrine of the law, which has been a matter of criticism for years and still doesn't lose its relevance.

The first chapter descusses short rewiews of that authors, which determines the puspose of intent in criminal justice. The second chapter describes the main problematic issues, which generate a variety of opinions about substantiation of purpose of intention and it is a great discussion object as theoretical as practical meaning. Third chapter is concerned substantiation of this issue based on the basic material covered in this work.

შესავალი

განზრახვის ცნების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ რომის სამართლიდან იღებს სათავეს, სადაც განზრახვა მოიხსენიებოდა ტერმინით „dolus.” გამომდინარე აქედან მას დიდი ისტორია გააჩნია, შესაბამისად სისხლის სამართლის დოგმატიკაში განზრახვა, როგორც დანაშაულის სისტემის შემადგენელი ელემენტი საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და იცვლიდა თავის სამართლებრივ ბუნებას, თუ გადავხედავთ დანაშაულის სისტემის მოძღვრებაში სხვადასხვა ისტორიულ ეტაპს ნათლად ჩანს, რომ განსხვავება ამ ცნების განსაზღვრისას ერთმანეთის წინააღმდეგობრივია, თუ პირველ ეტაპზე განზრახვა ბრალის დამოუკიდებელ ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენდა, შემდგომი განვითარების საფეხურზე მან უკვე ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ნიშნის მნიშვნელობა შეიძინა, რამაც ფაქტობრივად შეცვალა დანაშაულის სისტემის სტრუქტურა და საფუძველი ჩაუყარა ქმედების შემადგენლობის სამნიშნოვან დაყოფას.

თემის აქტუალობა. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი შეეხება განზრახვის ბუნების დადგენას სისხლის სამართლის დოგმატიკაში და არამხოლოდ, რადგან მას თეორიულ საკითხებთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია, მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში შემოტანილმა ქმედების სამსაფეხუროვანმა სისტემამ წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა განზრახვის დეფინიციის ცვლილების გამო, რადგან სხვადასხვა ინტერპრეტაცია შეიძინა განზრახვის ქმედების შემადგენლობის სტადიაზე გადმოტანამ და ბრალის წმინდა

გასაკიცხაობის კატეგორიად აღიარებამ. გამომდინარე აქედან სამართლის მეცნიერები გამოთქვამენ კრიტიკულ მოსაზრებებს აღნიშნულთან დაკავშირებით და საკუთარი პოზიციის დაცვას ცდილობენ, შესაბამისად ღღემდე არ არსებობს ამ საკუთხთან მიმართებით ერთიანი, ჩამოყალიბებული პოზიაცია.

თემის მიზნები. მოცემული ნაშრომის მიზანია სხვადასხვა შეხედულებების შესაბამისად წარმოაჩინოს განზრახვისა და ბრალის ნიშნები. გამოიკვეთოს ის ძირითადი პრობლემური საკითხები განზრახვის სტრუქტურაში რაც ღღემდე კრიტიკის საგნად არის ქცეული, გაანალიზოს და განაზოგადოს დანაშაულის სისტემის არსი, სხვადასხვა კუთხით წარმოაჩინოს ამ თემის აქტუალური საკითხები. თემის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა განზრახვის ფუნქციის არსის დადგენას დანაშაულის ჩადენის დროს, რადგან ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს ის ძირითადი საკითხები, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ეტაპზე, გამომდინარე აქედან ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული სისხლის სამართლის განზრახვის ცნების ძირითად ელემენტებზე, კერძოდ პირის ცოდნაზე, ნებელობაზე და მის მიერ მართლწინააღმდეგობის შეგნებაზე, რომლის განსაზღვრა საბოლოო ჯამში ქმნის ამ ცნების შინაარსობრივ გააზრების საფუძველს.

თემის ამოცანები. კვლევის ძირითადი ამოცანაა, დეტალურად იქნეს განხილული სისხლის სამართალში ქმედების სუბიექტური მხარის ნიშნების სტრუქტურა, რადგან მოხდეს იმ ურთიერთკავშირისა და განსხვავებების დადგენა რაც თავისი ბუნებიდან გამომდინარე არსებობს განზრახვასა და სხვა სუბიექტურ ნიშნებს შორის, განსაკუთრებით კი ამ მხრივ საყურადღებოა ევენტუალური განზრახვით და გაუფრხილებლობით, კერძოდ თვითიმედოვნებით ჩადენილი ქმედებების ურთიერგამიჯვნის პრობლემა. ამავედროს აუცილებელია, რომ აღნიშნული საკითხის დასაბუთებისთვის მოხდეს ბრალის სტრუქტურის გააზრება სამართლის სხადასხვა სისტემების მოკლე ანალიზის გზით, რაც რიალური სურათის წარმოდგენას შეუწყობს ხელს. ნაშრომის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ასევე არსებული შეხედულებების მართებულობის დასაბუთება კრიტიკული ანალიზის

გზით, რადგან განზრახვის დადგენა სისხლის სამართალში ემსახურება დანაშაულებრივი ქმედებისთვის სწორი კვალიფიკაციის მიცემას.

კვლევის მეთოდები. სამაგისტრო ნაშრომში საკვლევი თემის პრობლემის სიღრმისეულად გაანალიზებისათვის გამოყენებულია ისტორიული, დოგმატიკური, ფორმალურ-იურიდიული, შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები. რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მეტნაკლებად ობიექტურად წარმოჩნდეს საკვლევი თემის პრობლემა, მისი სამართლებრივი მნიშვნელობა და ის აქტუალური საკითხები, რაც თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში დღემდე არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებობს ბევრი პრობლემური საკითხი, რომლის სიღრმისეული გაანალიზება იწვევს დიდ დისკუსიას სამართლის თეორიაში, დღესდღეობით ერთ-ერთ ასეთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს განზრახვის ცნების დეფინიცია. რომელიც წარმოშობს სამართლის თეორიაში პოზიციებისა და შეხედულებების ურთიერთდაპირისპირებას.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი განსაზღვრავს განზრახვას, როგორც დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ფორმას. გამომდინარე აქედან, დანაშაულის შემადგენლობის დადგენის სტადიაზე განზრახვა გვევლინება სუბიექტური შემადგენლობის ძირითად ნიშნად. თუმცა როგორც ზომით იქნა აღნიშნული, კანონმდებლის მიერ მოცემული განმარტება არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დოგმატიკაში აფსოლუტურ ჭეშმარიტებას, რადგან ბევრი თეორიტიკოსი დღესაც მიიჩნევს, რომ განზრახვა არა ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს, არამედ ბრალის კატეგორიას განეკუთვნება, რაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად და საპრინციპული პოზიციის უარსაყოფად მეცნიერები გამოთქვამენ შეხედულებებს, რომლებსაც ასაბუთებენ შესაბამისი არგუმენტებით.

გამომდინარე აქედან აღნიშნულ თავში იქნება მოკლე მიმოხილვა იმ ძირითადი ავტორების მოსაზრებების და შეხედულებების, რომელთა ანალიზის და შეჯერების საფუძველზე საბოლოო ჯამში მოხდება ნაშრომის ძირითადი მიზნის წარმოჩენა და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვყოთ ავტორთა ორი ჯგუფი, პირველში შედიან ის მეცნიერები, რომლებიც განზრახვას ბრალში მოიაზრებენ, როგორც არიან მაგალიად: გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, გ. ტყეშელაძე, თ. წერეთელი და სხვა, ხოლო მეორე ჯგუფს შეადგენენ ის ავტორები, რომლებიც თვლიან რომ განზრახვა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილება, აესეთები კი არიან, მ. ტურავა, ი. დვალიძე, ო. გამყრელიძე და სხვა. გამომდინარე აქედან ნაშრომში ყურადღება დაითმობა ყველა იმ მოსაზრების ანალიზს, რომელიც ქმნის საკითხის ობიექტურად წარმოდგენის საფუძველს.

თ. წერეთელი აღიარებს განზრახვას, როგორც ბრალის ფორმის არსებობის იდეას, მისი შეხედულებები შეიძლება ითქვას, რომ ეფუძნება ბრალის ე.წ. ნორმატიულ-ფსიქოლოგიური დოქტრინის წარმადგენელთა მოსაზრებებს, მეცნიერის ღრმა რწმენით, განზრახვა ისევე, როგორც გაუფრთხილებლობა, საჭიროა მიეკუთვნებოდეს მხოლოდ ბრალს.

ამის საპირისპიროდ თ. დონჯაშვილი განზრახვას დანაშაულის სუბიექტური ნიშნის ელემენტად წარმოაჩენს და თ. წერეთელისგან განსხვავებით ხაზს უსვამს ფინალური თეორიის გავლენას აღნიშნულ ვითარებაზე, რადგან ამ თეორიის თანახმად განზრახვა შედის მოქმედების ცნებაში, შესაბამისად განზრახვა ბრალის ელემენტს კიარ არის, არამედ ის თვით მოქმედების არსებითი შემადგენელი ნაწილია, იგი წარმოადგენს ყოველგვარ შეფასებას მოკლებულ ბუნებრივ ფსიქიკურ პროცესს რომელიც არსებითად ნიშნავს პირის ნებისყოფას იმოქმედოს განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად.¹

¹თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლადი, ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2002, გვ. 164

ი. ვესელსი, ვ. ბოილკე თვლიან, რომ განზრახვა როგორც დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი, ქმედების მიზანსა და მიმართულებას განსაზღვრავს, როგორც ქმედების პერსონალური უმართლობის ბირთვი, ის უმართლობის სუბიექტური შემადგენლობის ზოგად ნიშანს და ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის სუბიექტური შერაცხვის საფუძველს წარმოადგენს.² აღნიშნული ავტორები მიიჩნევენ რომ განზრახვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნებელობის ცნების განსაზღვრას რადგან ეს არის ისეთი ელემენტი, რომლის გარეშეც ევენტუალური განზრახვის და შეგნებული გაუფრთხილებლობის ურთიერთგამიჯვნა ვერ მოხერხდება. ისინი აღნიშნავენ, რომ მხოლოდ შედეგის შესაძლო გაცნობიერება ევენტუალური განზრახვის გამადასტურებლად საკმარისი პირობა არარის.³

გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, ანვითარებენ აზრს, რომ განზრახვის როგორც ბრალის ფორმის უარყოფა ან უგულებელყოფა მძიმე შეცდომაა და გაუგებარია, ისინი აღნიშნავენ, რომ მართალია არსებობს განზრახვის წმინდა ფსიქოლოგიური ცნება რომელიც არსებითად განსხვავდება განზრახვის როგორც ბრალის ფორმისაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს სრულიად იმას, რომ განზრახვა როგორც ბრალის ფორმა არ არსებობს, რადგან ადამიანი აცნობიერებს იმ სამართლებრივ ურთიერთობას რომელშიც იმყოფება და როგორც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატს კარგად აქვს შეგნებული, რომ მას მართლზომიერი მოქმედების ვალდებულება ეკისრება, ეს მისი ღირებულებითი ცნობიერების სფეროა, შესაბამისად მართლშეგნება ღირებულებითი ცნობიერების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.⁴ შესაბამისად მათ მიაჩნიათ რომ სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მათი შეგნებული ქმედებით გამოიხატება და ეს ბრალის განზრახვი ფორმის ნიშანია.

ო. მინდაძე ლ. მინდაძე, თავის ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს განზრახვის სტადიაზე იმ მდგომარეობას, რომელიც პირის ფსიქიკაში მიმდინარეობს,

²ი.ვესელსი ვ.ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2010, გვ. 118

³ იქვე, გვ. 119

⁴სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ, გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2016, გვ. 190

რადგან დანაშაულებრივი ქმედება გარდა ობიექტური პროცესებისა განიხილება მოქმედი პირის ნების შინაარსის მიხედვით, ამ დროს გამოსარკვევია იმ წარმოდგენებისა და ემოციების შინაარსი რომელიც თან ერთვის ნების გარეგან გამოვლინებას, ადამიანის ფსიქიკა წარმოადგენს მისი ცხოვრების შინაგან შინაარს, მის აზრებს, გრძნობებს, განზრახვას, ნებელობას და შეიძლება ითქვას რომ დანაშაულის სუბიექტური მხარის ნიშანი ფსიქიკის ელემენტების ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს. სწორედ ქმედების სუბიექტური მხარისთვის დამახასიათებელი ნიშნები ქმნის საფუძველს ბრალეული პასუხისმგებლობისთვის.⁵

რაც შეეხება მ. ტურავას იგი თავისი ნაშრომებით ემიჯნება დანაშაულის კლასიკურ სიტემას, რომლის მიხედვითაც ხდება უარყოფა ქმედების სუბიექტური შემადგენლობის არსებობისა, ტურავას აზრით განზრახვა არ შეიძლება მიეკუთვნოს ბრალის ფორმას, იგი მიიჩნევს რომ განზრახვი ქმედების შემადგენლობის სუბიექტურ ნიშნებს ყველა შემთხვევაში წარმოადგენს სპეციალური მიზანი, სპეციალური ცოდნა და უმართლობის დამაფუძნებელი სხვა მოტივები. მას მიაჩნია რომ დანაშაულის შემთხვევაში აუცილებელია შემოწმდეს ჯერ ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, რომელშიც თავის მხრივ მოიაზრება განზრახვა.⁶

ო. გამყრელიძე თავის ნაშრომებში აღნიშნავს რომ განზრახვა უნდა იქნეს დადგენილი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განზრახვის თითოეული ელემენტის განსაზღვრას, შესაბამისად ცდილობს დაასაბუთოს ამ გზით თავისი აზრის ჭეშმარიტება, მას მიაჩნია რომ განზრახვა თავისი ბუნებიდან გამომდინარე წინ უსწრებს ქმედების განხორციელებას იგი პირის სუბიექტური დამოკიდებულებაა და გამოხატულებას პოულობს ქმედების განხორციელების ეტაპზე. შესაბამისად მას დანაშაულის კვალიფიკაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება.

ყველა სხვა ატვორი, რომელიც მოცემული სამაგისტრო თემის ძირითად წყაროს წარმოადგენს მენაკლებად ეთანხმება ან უარყოფს ზემოთ აღნიშნულ

⁵ლ.მინდაძე ო.მინდაძე, თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე, ქუთ., გამომც. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2011, გვ. 42

⁶მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 127

სხვადასხვა მოსაზრებას და მიდგომას განზრახვის ცნების დეფინიციის განსაზღვრისას. შეიძლება ითქვას, რომ ავტვორთა უმეტესობა ემხრობა განზრახვის ცნების თანამედროვე ინტერპრეტაციას, გამართლებულად მიიჩნევენ განზრახვის, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ერთ-ერთ ნიშნად აღიარებას. თუმცა გონივრლ აზრს არ არის მოკლებული იმ მეცნიერთა შეხედულებები, რომლებიც დღესაც ფიქრობენ რომ განზრახვა ბრალთან ერთად უნდა განიხილებოდეს და წარმოადგენდეს მის შემადგენელ ელემენტს.

გამომდინარე აქედან ნაშრომი იქნება ერთგვარი მცდელობა იმისა, რომ ამ მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე, მოხდეს სწორი და მნიშვნელოვანი პარალელების გავლება სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, რაც უკავშირდება პირველრიგში განზრახვის ადგილის დადგენას სისხლის სამართლის მეცნიერებაში და მის სისხლისამართლებრივ მნიშვნელობის გარკვევას, როგორც ქმედების განხორციელების, ისე ბრალის ეტაპზე.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1. განზრახვის ადგილი დანაშაულის სისტემაში.

მოქმედმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა ახლებურად ჩამოაყალიბა დანაშაულის ცნება და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რომელიც ეფუძვნება დანაშაულის სამსაფეხუროვან სისტემას, აღნიშნული კი სათავეს იღებს დანაშაულის კლასიკურ სისტემაში ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში. ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ერნსტ ბელინგმა იმგვარად ჩამოაყალიბა დანაშაულის ცნება რომელიც დღეს მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლიში, რის საფუძველზეც დანაშაული ეს არის

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი ანუ, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.⁷

სისხლის სამართლის თეორიაში დანაშაულის შემადგენლობა განისაზღვრება, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს კონკრეტულ ქმედებას როგორც დანაშაულს, ქმედების ობიექტური შემადგენლობა ახდენს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დემონსტრირებას, იგი გამოიხატება ისეთ გარეგან ნიშნებში რომლებიც არსობრივად აღქმადი საგნები და მოვლენებია. რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ შემადგენლობას იგი განიხილება მოქმედი პირის ნების შინაარსის მიხედვით, ამ შემთხვევაში ყურადღება ეთმობა ადამიანს ფსიქიკაში არსებულ წარმოდგენებს და ემოციებს.⁸

გამომდინარე აქედან დანაშაულის ელემენტებს წარმოადგენს ქმედების შემადგენლობა, რომელშიც მოიაზრება პირის მიერ ჩადენილი ქმედების შესაბამისობა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან, მართლსაწინააღმდეგობა რაც გულისხმობს პირის მიერ ჩადენილი ქმედების წინააღმდეგობას კულტურულ ნორმებთან და ბრალი, რასაც მოიცავს მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო შედეგისთვის. ქმედების შემადგენლობა და მართლსაწინააღმდეგობა ამ სისტემის მიხედვით წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ უმართლობას, რომელიც ბრალთან ერთად ქმნის ერთიან დანაშაულის ცნებას.⁹

აღნიშნული მოსაზრებები წარმოადგენს თანამედროვე სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამის დეფინიციას, თუმცა ლიტერატურაში დღესაც არ კარგავს აქტუალობას განზრახვის, როგორც ქმედების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ნიშნის განსაზღვრის პრობლემა, რაც მდგომარეობს შემდეგში, რომ

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 7

⁸ ლ. მინდაძე ო. მინდაძე, თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე, ქუთ., გამომც. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2011, გვ. 41

⁹ მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც „მერიდიანი“, 2013, გვ. 56

აიხსნას რატომ არის განზრახვა, მხოლოდ ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ნიშანი და არა როგორც ბრალის ფორმა, როგორც წლების წინ არსებობდა.

ამ საკითხების უკეთ გასააზრებლად მნიშველოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ ის სისტემები, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს სამართლის დოქტრინაში და დღემდე მათი განსაზღვრის საფუძველზე წარმოიშვება სწორედ ეს აზრთა სხვადასხვაობა.

სისხლის სამართლის მეცნიერებამ თავისი ისტორიის მანძილზე გაიარა სხვადასხვა ეტაპი დაწყებული კლასიკურ სისტემიდან დამთარებული თანამედრვე ფუნქციონალურ სისტემებამდე, გამომდინარე აქედან თვითვე სისტემას გააჩნია თავისი დამახასიათებელი ნიშანი, რამაც არსებითი კვალი დატოვა სამართალმცოდნეობაში და დღემდე კრიტიკის საგნად იქცა.

კლასიკური სისტემა წამოადგენს დანაშაულის ყველაზე ნათელ და მარტივ მოძღვრებას, იგი ეფუძნება აზროვნების ისეთ მეცნიერულ სისტემას როგორცაა სამართლებრივი პოზიტივიზმი, ამ სისტემის მიხედვით დასჯადობის ყველა ობიექტური წინამძღვარი ეკუთვნის ქმედების შემადგენლობას და მართლწინააღმდეგობას, ქმედების შემადგენლობა გაიგივებულია, როგორც ქმედების განხორციელების წმნდა გარეგანი აღწერა ყოველგვარი შეფასების გარეშე. ხოლო ყველა სუბიექტური ელემენტი განიხილება ბრალის შემადგენელ ნაწილებად, ამიტომ ამ სისტემის მიხედვით ბრალი წარმოადგენს დანაშაულის ყველა სუბიექტური ნიშნის გვარობით ცნებას.¹⁰

კლასიკური სისტემა მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან განიცდის კრიტიკას, შემოდის ახალი მოსაზრებები რაც ცნობილია ნეოკლასიკური სისტემის სახელით, ეს ცვლილება განპირობებული იყო იმით რომ დანაშაულის სამსაფუხუროვანი სისტემის ფარგლებში უმართლობა ყოველ კონკრეტულ მომენტში არ შეიძლება ახსნილიყო მხოლოდ ობიექტური ნიშნით და ამავედროს ბრალიც მხოლოდ წმინდა სუბიექტური ნიშნებიდან არ შეიძლება შემდგარიყო. ნეოკლასიკური სისტემის უპირატესობა მდომარეობდა შემდეგში რომ ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა

¹⁰მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც „მერიდიანი“, 2013, გვ. 60-61

აღარ წარმოადგენდა ობიექტურ-ფორმალური კრიტერიუმით განსაზღვრულ კატეგორიას, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია კი შეიცვალა ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორიით, ამ სისტემის სამართლებრივი არსი მდგომარეობს იმაში რომ ქმედების შემადგენლობის კვალიფიკაცია მოხდა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებად, ასევე აღიარებულ იქნა სუბიექტური მომენტი მართლწინააღმდეგობის ეტაპზე და ბრალიც რიგ შემთხვევებში ობიექტურ მომენტებს დაეფუძვნა. ნეოკლასიკური სისტემით უმართლობას აფუძნებს სუბიექტური და ობიექტური ნიშნების ერთიანობა, ამ სისტემის მიხედვით სუბიექტური ნიშნები ეკუთვნის არა ბრალს არამედ მათ აქვს უმართლობის დამაფუძნებელი მნიშვნელობა.¹¹

რაც შეეხება ფინალურ სისტემას მან შეიძლება ითქვას რომ შეცვალა მანამდე არსებული სისტემები, ფინალიზმის მიხედვით ქმედების შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს უმართლობის პერსონალურ ცნებებს, ხოლო ბრალი წარმოადგენს წმინდა ნორმატიულ კატეგორიას გასაკიცხაობის სახით. ასევე არსებობს თელეოლოგიურ-სოციალური და ფუნქციონალური სისტემები, რომელიც ავითარებს ტრადიციულ სისხლისამართლებრივ დოგმატიკას, თუმცა ეს არ წარმოადგენს გაბატონებულ შეხედულებას და შესაბამისად არ ეთმობა დიდი ყურადღება.¹²

განხილული სისტემებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ რომ სისხლის სამართლის მეცნიერებამ საკმაოდ რთული ეტაპები გაიარა, სანამ დღეს მოქმედ დანაშაულის სამსაფეხუროვან მოდელამდე მივიდოდა, რომელსაც ეყრდნობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ეჭვს არ იწვევს, რომ აღნიშნული მოდელი ყველაზე უკეთ ასახავს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების სტადიებს, პირი რომელიც ჩადის კონკრეტულ ქმედებას იმისთვის რომ მას სწორი კვალიფიკაცია მიეცეს უნდა დადგინდეს ყველა ობიექტური და სუბიექტური გარემოება ცალ-ცალკე, რამაც კონკრეტული ქმედების შემადგენლობა გამოიწვია, ასევე უნდა განისაზღვროს მართლწინააღმდეგობის გამოვლენის ფორმა და ბრალის ხარისხი თუ დანაშაულის ეს ნიშნები არ იქნება გამიჯნული

¹¹ იქვე. გვ. 62-63

¹² იქვე. გვ. 64-69

ერთმანეთისგან და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ დადგინდება მათი არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს პირის უსამართლო მსჯავრდება.

განზრახვის ადგილის განსაზღვრისთვის აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ასევე ბრალის თეორიები რომელიც ზემოთ აღნიშნულ სხვადასხვა სისტემის საფუძველზე აღმოცენდა და შესაბამისად კვალი დატოვა განზრახვის ცნების ჩამოყალიბებაში. ეს თეორიებია წმინდა ფსიქოლოგიური, ნორმატიულ-ფსიქოლოგიური და წმინდა ნორმატიული.

წმინდა ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით ბრალი განმარტებულია როგორც პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარი შედეგისადმი, ნორმატიულ-ფსიქოლოგიურმა თეორიამ შემოიტანა შეფასების მომენტი და ბრალი განისაზღვრა როგორც პირის გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება ქმედებასა და დამდგარი შედეგისადმი. ამ თეორიის თანახმად ფსიქიკური დამოკიდებულება ნორმატიულ ელემენტებთან ერთად წარმოადგენს ბრალის ცნების მხოლოდ ერთ-ერთ ელემენტს და არა მთლიანად მის შინაარსს. რაც შეეხება ბრალის წინდა ნორმატიულ თეორიას, რომელიც დღეს წარმოადგენს გაბატონებულ შეხედულებას ამ თეორიის მიხედვით ბრალი განიმარტება, როგორც გასაკიცხაობა, შესაბამისად ბრალი არის წმიდა შეფასებითი კატეგორია ყოველგვარი ფსიქოლოგიური ელემენტის გარეშე, ეს ყველა ელემენტი ამ თეორიის საფუძველზე გადატანილ იქნა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, რის შედეგადაც ბრალი არის არა დამნაშავის არამედ შემფასებლის ანუ მოსამართლის მიერ მისი ქმედების სამართლებრივი გაკიცხვა, ხოლო განზრახვა და გაუფრთხილებლობა როგორც ამ შემთხვევაში შეფასების ობიექტები გადავიდნენ უკვე ქმედების შემადგენლობის ნიშნებად. ამ თეორიის მიხედვით განზრახვა გაუფრთხილებლობასთან ერთად არის მოსამართლის მიერ პირის გაკიცხვის ერთ-

ერთი კრიტერიუმი და არა ბრალის შინაარსის ამომწურავი კატეგორია როგორც ეს იყო ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით.¹³

გამომდინარე აქედან, სმართლის თეორიაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები თუ რა ადგილი უჭირავს განზრახვას დანაშაულის სისტემაში, გ. ნაჭყებია და ნ. თოდუა მიიჩნევენ, რომ განზრახვა ერთის მხრივ არსებობს წმინდა ფსიქოლოგიურად, როგორც გარკვეული სახის ქმედების ჩადენისთვის პირის ცნობიერი მზაობაა, მაგრამ მეორეს მხრივ იმის მიხედვით თუ რა არის განზრახვის, როგორც ადამიანის ინტელექტის, ნებელობისა და ემოციის საგანი განზრახვის შინაარსი იცვლება, რადგან შეუძლებელია მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიური ფენომენად დარჩეს სუბიექტის ცნობიერება, მაშინ როცა ამ ცნობიერების საგანი არის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და ამ სუბიექტს შორის, ისე სახელმწიფოს წინაშე პირის პოზიტიური პასუხისმგებლობა მართლზომიერი ქმედებისთვის და მაშინ როცა ხდება ამ პოზიტიური პასუხისმგებლობის გააზრებული უარყოფა ამას სუბიექტი უპასუხისმგებლობის ანუ, ბრალის სფეროში გაყავს, რადგან ამ დროს აქვს ადგილი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი პირის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას რასაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი მოჰყვება.¹⁴

გ. ნაჭყებიას და ნ. თოდუას მოსაზრებით, განზრახვა სუბიექტზე დაკისრებული პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებულ უარყოფას გამოხატავს, შესაბამისად ფიქრობენ, რომ სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მათი შეგნებული ქმედებით გამოიხატება და იგი ბრალის განზრახვი ფორმის ნიშანია. ისინი ფიქრობენ, რომ აღნიშნულის გააზრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ევენტუალური განზრახვის და თვითმლოვნებით ჩადენილი ქმედების გამიჯვნისას

¹³მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც „მერიდიანი“, 2013, გვ. 208-209

¹⁴სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ, გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2016, გვ. 193

რადგან ტერმინი „განზრახული“ და ტერმინი „შეგნებული“ ერთმანების იგივეობრივი ვერ იქნება წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება ამ ცნებების ურთიერთგამიჯვნა¹⁵

თითქმის იგივე მოსაზრება გააჩნია განზრახვის საკითხთან დაკავშირებით თ. წერეთელს, მისი ღრმა რწმენით, განზრახვა ისევე, როგორც გაუფრთხილებლობა, საჭიროა მიეკუთვნებოდეს მხოლოდ ბრალს. თუმცა, ავტორის აზრით, ამან არც მეორე უკიდურესობა უნდა გამოიწვიოს. კერძოდ, ბრალი არ შეიძლება გახდეს მხოლოდ წმინდა ფსიქოლოგიური კატეგორია, არამედ აუცილებელია მასში გასაკიცხაობის მომენტებიც იქნეს შეტანილი. წერეთელი მიუთითებდა, რომ დანაშაული ორი ძირითადი მხარისაგან შედგება, ერთი ეს არის დანაშაულის ობიექტური მხარე, რომელშიც მოიაზრება ადამიანის ქცევა, როგორც მისი ნებისყოფის გარეგანი გამოვლინება, ამ ქცევის შედეგად მიღებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი და ბოლოს მიზეზობრივი კავშირი მათ შორის. ხოლო მეორე ნიშანი, ეს არის დანაშაულის სუბიექტური მხარე ანუ ბრალი, ე.ი. პიროვნების გასაკიცხი ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან და მის შედეგთან, რაც განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით ვლინდება.¹⁶

განზრახვა და გაუფრთხილებლობა, აღნიშნული მოძღვრების მიხედვით, კვლავ ბრალის ეტაპზე მონაწილეობს სახელდობრ, განზრახვა, დანაშაულის კლასიკური და ფინალური მოძღვრებებისგან განსხვავებით, როგორც ფსიქიკური დამოკიდებულება, შეფასების პარალელურად განაგრძობს არსებობას ბრალის სფეროში და ორივე ეს მომენტი ფსიქიკური დამოკიდებულება და გასაკიცხაობა, ბრალის ცნების დამოუკიდებელი, განსხვავებული კატეგორიებია. სწორედ ამით განსხვავდება ეს მოძღვრება როგორც ბრალის წმინდა ფსიქოლოგიური, ისე ბრალის წმინდა ნორმატიული თეორიისგან. მის ნაშრომებში საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება არის განზრახვის ელემენტი, მაგრამ მართლწინააღმდეგობის შეგნება არა. მართლწინააღმდეგობის შეგნებას იგი ანიჭებს მხოლოდ

¹⁵სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ, გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2016, გვ. 190

¹⁶თ. წერეთელი სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2007, გვ. 28

დამოუკიდებელ მნიშვნელობას პირის მორალური გაკაცვისა და ბრალის ხარისხის დამძიმებისთვის, მაგრამ არა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის არსებობის დასასაბუთებლად.¹⁷

ამ აზრის საპიროსპირო შეხედულებებს ავითარებს მ. ტურავა ავტორი მიიჩნევს, რომ „განზრახი დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა შეიცავს განზრახვას ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანის მიმართ და ასევე ქმედების შემადგენლობის სხვა წმინდა სუბიექტურ ნიშნებს.“¹⁸

მ. ტურავას განზრახვის ადგილის განსაზღვრისას ყურადღებას უთმობს ევენტუალური განზრახვასა და თვითიმედოვნების ერთმანეთისაგან გამიჯვნის პრობლემის საკითხს, მისი აზრით, ამ შემთხვევაში სუბიექტური შემადგენლობის დადგენის დროს განზრახვისა და თვითიმედოვნების დადგენა უნდა მოხდეს ფაქტობრივი გარემოებების ცოდნით და ნებელობის გამოვლენის ხარისხით, ხოლო მართლწინააღმდეგობა უნდა დადგინდეს ბრალის ეტაპზე. შესაბამისად მიაჩნია, რომ განზრახვა ბრალის ეტაპზე მაინც არ კარგავს თავის მნიშვნელობას, მაგრამ განსხვავებული კუთხით, კერძოდ იგი ბრალის ეტაპზე წარმოადგენს არა პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ფომას, არამედ მხოლოდ ინდივიდუალური გაკაცვის კრიტერიუმებს.¹⁹

ამის საპასუხოდ გ. ნაჭყებია თავისი აზრის დასასაბუთებლად მოჰყავს ღირებულებითი ცნობიერება, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის არა მხოლოდ ინტელექტუალური გამოხატულებაა, არამედ იგი არის განზრახვის შინაგანი ნებელობითი მხარე, გამომდინარე აქედან მართლშეგნება, ცნობიერების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, ამ სფეროში კი განზრახვა თავისი შინაარსით სხვა ფორმულირებას იღებს, ვიდრე იგი არსებობს წმინდა ფსიქოლოგიურად, რომლის მიხედვითაც განზრახვა შეგნებულობის სინონიმია და შესაბამისად ქმედების ელემენტს წარმოადგენს, ხოლო სულ სხვა შინაარსი აქვს ამ მხრივ განზრახვას,

¹⁷ლ.მალაქელიძე, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 143-145

¹⁸მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც „მერიდიანი“, 2013, გვ. 129

¹⁹იქვე, გვ. 129

როგორც ბრალის ფორმას, რა დროსაც სუბიექტი ფსიქოლოგიური სფეროდან ნორმატიული ურთიერთობის სფეროში გადადის, ეს ურთიერთობა კი ვლინდება სუბიექტის პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებაში სახელმწიფოს წინაშე, შესაბამისად იგი იღებს ვალდებულებას რომ მართლზომიერად მოიქცევა, მაგრამ იმ შემთხვევაში როცა იგი ამ ვალდებულებას დაარღვევს ანუ შეგნებული უარყოფით უკუაგდება მას მაშინ ეს განზრახვა უკვე ბრალის, ანუ როგორც უპასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმას წარმოადგენს, გამომდინარე აქედან განზრახვა უკვე წინ უსწრებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებს და შესაბამისად იგი ველარ იქნება ქმედების შემადგენლობის ელემენტი. ამის შესაბამისად განზრახვა როგორც ბრალის ფორმა ქმედების სუბიექტური ელემენტისგან მონყვეტილია და ამიტომ იგი არა წმინდა ნორმატიული კატეგორია, არამედ იმგვარი განზრახვაა რომელიც გაკიცხვას იმსახურებს.²⁰

მ. ტურავას შეხედულებას იზიარებს თ. დონჯაშვილი, ავტორის მოსაზრებით განზრახვა სწორედ წარმოიშვება იმ ეტაპიდან როცა პირმა მიიღო გადაწყვეტილება იმოქმედოს, განზრახვის დროს გადაწყვეტილება ყოველთვის წინ უსწრებს მოქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს სამართლებრივ სიკეთეს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს. გამომდინარე იქიდან, რომ განზრახვა ადამიანის ბუნებრივი ფსიქიკური აქტივობის გამოვლინებაა, ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განზრახვის ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტების განსაზღვრას. ამავედროს ავტორი განზრახვის ერთერთ კომპონენტს კერძოდ მართლწინააღმდეგობის შეგნებას შეფასებით კატეგორიად მიიჩნევს და შესაბამისად თვლის რომ აღნიშნული არა სუბიექტური შემადგენლობის დადგენისას განიხილება, არამედ ბრალის ეტაბზე დგინდება.²¹

მ. ტურავას არ ეთანხმება გ. ნაჭყებია იგი თვლის რომ განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა სრულიად არ არის მონყვეტილი ქმედებისა და შედეგისადმი პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას, როგორც ეს ბრალის ნორმატიულ თეორიაში არის

²⁰ გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „ივერიონი“ 2015, გვ. 379-380

²¹ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალური, ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2002, გვ. 165

მოცემული, ავტორის აზრით ბრალის განზრახვი ფორმა ფსიქოლოგიურად შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ქცევის ფორმაში, აქ მთავარია სუბიექტის გადანწყვეტილება იმეფედოს მართლსაწინააღმდეგოდ და უპასუხისმგებლოდ, რაც საბოლოო ჯამში ქმნის ცნობიერების ისეთ ახალ შინაარს რომელსაც იგი ბრალის ფორმაში გადაჰყავს.²²

ო. გამყრელიძის აზრით კი განზრახვა, როგორც ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ნიშანი, ყოველგვარი შეფასებისგან თავისუფალი უნდა იყოს, ხოლო ის ფაქტი შეცნობილი ქონდა თუ არა მოქმედ პირს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ყოველ კონკრეტულ მომენტში ბრალზე მსჯელობის დროს უნდა გაირკვეს როცა ჩადენილი ქმედების უმართლობის შეფასება ხდება.²³

თუ შევადარებთ განხილულ პოზიციებს ამჟამად, რომ განზრახვის არსს უფრო უკეთ ასახავს იმ ავტორთა მოსაზრებები რომლებიც ეყრდნობიან დანაშაულის სამწევროვან დაყოფის იდეას და განზრახვას დანაშაულის შემადგენლობის ელემენტად თვლიან, რადგან განზრახვა თავისი ბუნებით პირის ფსიქიკური დამოკიდებულებაა, დამნაშავეს სურს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის რომ მისი დასახული მიზანი, რომელსაც მოიცავს განზრახვა სისრულეში მოიყვანოს, სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულთა ყველაზე დიდი ნაწილი განზრახვით ქმედებაში ვლინდება, გაუფრთხილებლობა, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულებრივ ქმედებად თუ ამას პირდაპირ უთითებს სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმა. ფაქტია, რომ დანაშაულის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშნებს, ისე მართლსაწინააღმდეგობის შეგნებას და ბრალს. ამიტომ თუ ამ ნიშნების გაყოფა და ერთმანეთისაგან ურთიერთგამიჯვნა ვერ მოხერხდება, შეუძლებელი გახდება პირის სამართლიანი მსჯავრდება.

სისხლის სამართლის მეცნიერება ანვითარებს ყველა შესაძლო შესაძლებლობას განზრახვის ცნების დასაბუთებისას, რომელიც მეტნაკლებად

²²გ.ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „ივერიონი“ 2015, გვ. 389

²³ო.გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2008, გვ. 99

შეფერება მის სტრუქტურას, ამ შეხედულებების შეფასების შედეგად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რომელი დასაბუთებული მსჯელობა წარმოაჩენს უფრო მკაფიოდ და ზუსტად განზრახვის შინაარსის დეფინიციას და რომელია უკეთ მორგებული დღევანდელ მოქმედ სამართლის სისტემაზე.

2.2. განზრახვის სახეები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი განსაზღვრავს განზრახი დანაშაულის დეფინიციას, რომლის მიხედვითაც განზრახვა არის ორი სახის პირდაპირი და არაპირდაპირი.

სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს ორივე სახის განზრახვის მნიშვნელობას კერძოდ, სსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ქმდება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქმდება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.²⁴

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლების სუბიექტური შემადგენლობიდან გამომდინარე იკვეთება განზრახი დელიქტების ორი სახეობა პირველი ეს არის ისეთი ქმედებები რომლის განხორციელება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება მაგ ქურდობა, ყაჩაღობა და სხვა, ხოლო მეორე ჯგუფს მიეკუთვნება შერეული სახის დელიქტები რომელთა შემადგენლობების

²⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 9

განხორციელება შეიძლება როგორც პირდაპირი ისე არაპირდაპირი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით. მაგ, როგორცაა განზრახ მხვლელობა და სხვა.²⁵

აღნიშნული მუხლის შესაბამისად შეგვიძლია ზოგადად გავმიჯნოთ განზრახვის ეს ორი მუხლი ერთმანეთისგან, პირდაპირი განზრახვის დროს პირი შეგნებულად უშვებს და სურს შედეგის დადგომას, ხოლო არაპირდაპირი განზრახვის დროს მართალია არ სურ შედეგი მაგრამ უშვებს ამ შედეგის დადგომას ან გულგრილად ეკიდება მას, ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნებელობის ხარისხს. რაც შეეხება ამ ორი სახის განზრახვის უფრო დეტალურ გამიჯვნას იგი ქვემოთ იქნება განხილული.

პირდაპირი განზრახვის დეფინიცია საკმაოდ მარტივი აღსაქმელია და არც თეორიაში და არც პრაქტიკაშიც არ წარმოშობს ხარვეზს, რადგან ამ შემთხვევაში პირი რომელიც ჩადის დანაშაულს თავიდანვე მკაფიოდ აქვს განზრახული, რომ ახორციელებს ისეთ ქმედებას რომელიც მიმართულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგოისკენ, ანუ შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი განზრახვა ორ ელემენტს მოიცავს შედეგის გაცნობიერებას და მის სურვილს ჩაიდინოს კონკრეტული ქმედება, შესაბამისად სასამართლო პრაქტიკაში უფრო ხშირად გვხვდება პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულები, ზოგადად პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული ბევრად უფრო მძიმედ ითვლება ვიდრე არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაული, თუმცა კანონი არ ითვალისწინებს განსხვავებულ სანქციას მათ შორის, მაგრამ ამის მიუხედავად ამ ორი სახის გამიჯვნას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ქმედების შეფასება სხვადასხვანაირია იმის მიხედვით პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა პირი თუ ევენტუალური, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რადგან ასეთია თავად ჩადენილი ქმედების ბუნება.²⁶

²⁵ო.გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2008, გვ. 100-101

²⁶სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო, რედ. გ.ნაჭყებია, ი.დვალაძე, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2007, გვ. 132

შესაბამისად ამისა პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის გამიჯვნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რათა დადგინდეს რომელი ქმედების ჩადენისკენ იყო მიმართული პირის დანაშაულებრივი ქმედება, და ამის შესაბამისად მოხდეს სისხლისსამართლებრივი უმართლობის დადგენა.

თუმცა აღსანიშნავია და საყურადღებოა ისე თაქტი, რომ ამ ორი სახის გამიჯვნას სასამართლო განხილვის სტადიაზე სასაჯელის დანიშვნის ზომის განსაზღვრისას ექცევა ყურადღება, გამომდინარე აქედან აუცილებელია სწორედ განისაზღვროს გამოძიების დროს ქმედება პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით არის ჩადენილი. „პირდაპირ განზრახვად ასევე შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება თანამდევ შედეგან თუკი ეს შედეგი მის წარმოდგენაში განუყოფლადაა დაკავშირებული მის მიერ უშუალოდ ნასურვებ შედეგთან ანუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დამნაშავის ისეთ ნებელობასთან, რომელიც ერთობლივად მოიცავს დამდგარ შედეგს, რომლის განხორციელებაც მას გარდაუვლად მიაჩნდა“²⁷

სამეცნიერო ლიტერატურაში არის კიდევ გაბატონებული შეხედულებები განზრახვის სხვა ფორმებად დაყოფაზე მაგ: პირდაპირი განზრახვა შეიძლება დაიყოს პირველი ხარისხის პირდაპირ და მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვად, პირველი ხარისხის განზრახვის დროს პირი მოქმედებს გამიზნულად, ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ინტენსიურია ვოლუნტატური ელემენტი კერძოდ მიზანმიმართული სურვილი, ხოლო რაც შეეხება კოგნიტურ ელემენტს, ცოდნას შეიძლება ასეთ დროს წამოდგენილი იყოს, როგორც მხოლოდ შესაძლებელი და არ არის აუცილებელი რომ იგი წარმოდგენილი იყოს როგორც აუცილებელი ელემენტი, მაგ: ა.-მ იცის რომ ბ.-ს აქვს სახლში დიდი ოდენობის თანხა იგი მოკვლის მიზნით ესვრის მას რათა მიიღოს ეს ქონება, ამ შემთხვევაში შედეგის დადგომას პირი გარდაუვლად მიიჩნევს თუ შესაძლებლად ქმედება მაინც პირველი ხარისხის განზრახვით არის ჩადენილი. ხოლო რაც შეეხება მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვას ეს მაშინ ხდება როცა პირს არ სურს მაგრამ გარდაუვლად მიიჩნევს

²⁷სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო, რედ, გ.ნაჭყებია, ი.დვალაძე, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2007, გვ. 131

შედეგის დადგომას, რადგან ამ დროს შედეგი სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალებაა, ამ შემთხვევაში პირიქითაა წინა პლანზე გადმოდის კოგნიტური ელემენტი რაც თავისთავად იწვევს ვოლუნტატური ელემენტის წარმოშობას, რადგან პირი რომელიც დარწმუნებულია შედეგის დადგომის გარდაუვალობაში, მას აქვს ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნებელობაც, მაშინაც კი როცა ეს მისთვის არასასურველია. მაგ: ა. ცეცხლს უკიდებს თავის საკუთარ ავტომანქანას რომელიც დაზღვეული ყავს რადგან სურს სადაზღვეო კომპანიიდან მიიღოს თანხა.²⁸

გამყრელიძე გამოყოფს არაპირდაპირი განზრახვის სამ სახეს, პირველი, როცა შედეგის განხორციელება მოქმედების საბოლოო მიზანია, მაგ: მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე, მეორე ნიშანია როცა შედეგის განხორციელება წარმოადგენს აუცილებელ საშუალებას ადამიანისთვის სხვა რაიმე მიზნის მისაღწევად როგორცაა მკვლელობა ჩადენილი ანგარებით და მესამე ნიშანია, როცა მოქმედ პირს წარმოდგენილი ჰქონდა რომ მის ქმედებას გარდაუვლად მოჰყვებოდა შემადგენლობით დასახელებული შედეგი.²⁹

ასევე სამართლის თოერიაში ვხვდებით განზრახვის სხვა სახეებსაც როგორცაა წინასწარ მოფიქრებული განზრახვა და უეცრად წარმოშობილი. პირველი შემთხვევა არსებობს მაშინ როცა პირი წინასწარ ფიქრობდა დანაშაულის შესახებ გარკვეული დროის განმავლობაში, ამ პერიოდის განმავლობაში აგრეთვე გეგმავდა რა საშუალებებით, ხერხებით განახორცილებდა აღნიშნულ ქმედებას არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წინასწარ მოფიქრებული განზრახვა ხშირ შემთხვევებში უფრო საშიშ გამოვლინებებს პოვებს. რაც შეეხება უეცრად წარმოშობილ განზრახვას ეს იმნუთიერია მაგ: როცა ხდება აფრქვტი მკვლელობის ჩადენა.

გარდა ამისა ასევე ცალკე შეიძლება გამოიყოს განსაზრვრული და განუსაზღვრელი განზრახვა, პირვლ შემთხვევაში პირი უშვებს მართლსაწინაარმდეგო შედეგის დადგომას, რომელსაც მკაფიოდ ითვალისწინებს,

²⁸ მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბ., გამომც „მერიდიანი“, 2013, გვ. 132

²⁹ო.გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2008, გვ. 105

ამ დროს განზრახვა შეიძლება იყოს მარტივი როდესაც პირი ითვალისწინებს ერთ განსაზღვრული შედეგის დადგომას და ალტერნატიული როცა ითვალისწინებს ორი ან მეტი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას. რაც შეეხება განუსაზღვრელ ანუ არაკონკრეტულ განზრახვას მართალია პირი ითვალისწინებს დანაშაულებრივ შედეგს, მაგრამ ამ შემთხვევაში აღნიშნული შედეგი მის ცნობიერებაში არ არის კონკრეტული ასეთ შემთხვევაში სასამართლო პრაქტიკა პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრისას ითვალისწინებს ფაქტობრივად მიყენებულ შედეგს.³⁰

რაც შეეხება არაპირდაპირ განზრახვას იგი პირდაპირი განზრახვისგან განსხვავებით როგორც ცოდნის ისე ნებელობის დაბალი ხარისხით ხასიათდება, მართალია ის ფაქტი, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს არ სურდა დამდგარი შედეგი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნებელობის ხარისხი ამ დროს ნულის ტოლია, არამედ აქ იგულისხმება ის მდგომარეობა, რომ იგი არ მოქმედებს მიზნით დეტერმინირებული ნებელობით.³¹

ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი შეიძლება სხვადასხვა მიზნით მოქმედებდეს, ეს მიზანი შეიძლება ან მართლზომიერი იყოს ან დანაშაულებრივი, თუ დანაშაულებრივია, ასეთ შემთხვევაში საქმე შეიძლება გვექონდეს ორი სახის განზრახვის კომბინაციასთან, რაც გულისხმობს შემდეგს რომ ამ დროს ადგილი აქვს პირდაპირ განზრახვას იმ ძირითადი დანაშაულებრივი შედეგის მიმართ რომლის განხორციელებაც სურს დამნაშავეს და ამავდროს ევენტუალური განზრახვა იმ შედეგის მიმართ რომლის დადგომასაც უშვებს იგი. მაგ ა-მ განიზრახა ბ-ს მოკვლა, ა-მ დაინახა შორიდან მომავალი ბ. რომელიც მის მეზობელ გ-სთან ერთად მოდიოდა, ა-მ აიღო იარაღი და მოემზადა გასასროლად, იგი უშვებდა იმ შედეგს რომ

³⁰სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო, რედ. გ.ნაჭყებია; ი.დვალაძე, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2007, გვ. 133-134

³¹ლ.მინდაძე ო.მინდაძე, თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე, ქუთ., გამომც. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2011, 43

შესაძლებელია შორიდან აეცდინა მიზნისთვის და გ-სთვის მოერტყა ტვია მაგრამ აღნიშნული ქმედება მაინც განახორციელა.³²

ევენტუალური განზრახვა შედგება ცოდნისა და ნებელობის კომპონენტისგან, რაც გამოიხატება შემდგომში რომ, ამ დროს პირი შეგნებულად უშვებს რომ მის ქმედებას შესაძლებელია მოყვეს კონკრეტული შედეგი. თუ ეს დაშვება აფსტრაქტულ წარმოდგენებს ეფუძვნება და მას შედეგი არ მოყვა, ევენტუალური განზრახვა ამ შემთხვევაში არ არსებობს და შესაბამისად სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობაც გამორიცხულია.

არაპირდაპირი განზრახვის დროს პირი წარმართავს თავის ძალებს სულ სხვა მიზნის მისაღწევად, რომელიც მოცემული დანაშაულის შემადგენლობის მიღმა იმყოფება, მას განცნობიერებული აქვს, რომ ამ მიზნის მიღწევას შეიძლება მოჰყვეს ზიანის მიყენება სხვა სამართლებრივი სიკეთისთვის, მაგრამ ის მიზანი რომლის განსახორციელებლადაც ჩადის აღნიშნულ ქმედებას სხვა ხერხით შეუძლებელია, შესაბამისად მისთვის სულ ერთია რა შედეგი დადგება სხვა სამართლებრივი სიკეთის მიმართ, მთავარია მისი კონკრეტიზებული განზრახვა მოიყვანოს სისრულეში და არ ღებულობს არავითარ აქტუალურ ზომებს თანმდევი შედეგის თავიდან ასაცილებლად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პირდაპირი განზრახვისას პირი ითვალისწინებს მართლანინააღმდეგო შედეგის დადგომის ალბათობის უფრო მაღალ ხარისხს, განსხვავებით არაპირდაპირი განზრახვისაგან სადაც ეს ალბათობა უფრო მცირეა, რადგან პირდაპირი განზრახვის დროს პირს სურს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის რომ დადგეს მართლანინააღმდეგო შედეგი, ხოლო ევენტუალური განზრახვის დროს პირის ნებელობა შედეგის მიმართ შესუსტებულია თუმცა არც გამრიცხავს სხვა მაუნე შედეგის დადგომას არ სურს მარა გულგრილად ეკიდება მას. გამომდინარე აქედან განზრახვის ამ ორ სახეს შორის განსხვავება საკმაოდ დიდია და საჭიროებს სწორ სამართლებრივ ურთიერთგამიჯვნას.

³²სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, სახელმძღვანელო, რედ, გ. ნაჭყებია ი. დვალაძე, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2007, გვ. 132-133

შეგვიძლია ვთქვათ რომ განზრახვის სახეების მრავალფეროვნება მართალია პირის სხვადასხვა ფსიქიკურ მდგომარეობაში გამოიხატება, მაგრამ შედეგი რაც დგება განზრახი დანაშაულის შედეგად მაინც ერთი და იმავე სისხლისამართლებრივი დასჯადობის საფუძველს ქმნის, ამ შემთხვევაში ამ სახეების განსაზღვრას აქვს უფრო თეორიული მნიშვნელობა რათა დადგინდეს ის ფაქტი რომ ქმედება ჩადენილია განზრახ მოქმედებით და არა მაგ: გაუფრთხილებლობით რომელიც არსებითად ცვლის უკვე შედეგის მიმართ პასუხისმგებლობის სახეს.

ფაქტია, რომ განზრახი დანაშაული თავისი ბუნებიდან გამომდინარე, როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში წარმოშობს ბევრ მნიშვნელოვან და საყურადღებო დეტალს, ამიტომ საჭიროა ყველა ნიუანსის გათვალისწინება, რათა მოხდეს სწორი სურათის წარმოდგენა, შესაბამისად განზრახვის სახეების დადგენით და სწორი შეფასებით გაადვილდება სწორი კვალიფიკაციის მიცემა და შეფასება ყოველი კონკრეტული ქმედებისა.

2.3. განზრახვის ინტელექტუალური და ვოლუნტატური ელემენტები.

განსაზღვრის ცნების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მისი ელემენტების მნიშვნელობის დადგენას და შესაბამისად მათ როლს დანაშაულის ჩადენისას. სწორედ ამ ნიშნების გარკვევის და დაგენის შემდგომ შესაძლებელია ვისაუბროთ განზრახი ქმედების სტრუქტურაზე.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მიხედვით განზრახვა სამი კომპონენტისგან შედგება, რომელიც გამოიხატება შემდეგში, პირის მიერ ცოდნა იმისა რასაც აკეთებს, ნებელობა მისი ქმედებისა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. განზრახვის ამ სამი კომპონენტიდან ცოდნა და ნებელობა დგინდება სწერედ ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, ხოლო რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის

შეგნებას ბრალის ეტაბზე დგინდება, რომელიც წარმოშობს ე.წ ბოროტ განზრახვას და პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ ამ კომპონენტში მართლწინააღმდეგობის შეგნება არ მოიაზრებს წმინდა სამართლებრივ შეცდომას, ანუ იგი არ ეხება შეცდომას აკრძალვაში, რომელიც განზრახვისგან დამოუკიდებელი, ბრალის ცალკე კომპონენტია, არამედ ამ შემთხვევაში იგი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ფაქტობრივი მხარის ცოდნაა. მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება ნიშნავს იმას რომ პირი ითვალისწინებს ამ ქმედების როგორც ფაქტობრივ ისე სოციალურ ხასიათს.³³ მაგ: პირი რომელიც კლავს მეგობარს რომელმაც რეალური თავდამსხმელი გონია, სინამდვილეში კი მხოლოდ მისი შეშინება უნდოდა, შესაბამისად იგი იმყოფება ესეთ დროს მოჩვენებითი თავდასხმის მდგომარეობაში.

აქედან გამომდინარე, პრობლემის კვლევაც სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. გამოიკვეთოს ყველა ნიშნის როლი და დანიშნულება ქმედების განხორციელებისას, დადგინდეს რა მნიშვნელობა გააჩნია თვითველ მათგანს დამდგარი შედეგის მიმართ, შესაბამისად აუცილებელია, რომ დასაბუთდეს დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ერთი მხრივ, გარემოებების მიმართ ცოდნის არსებობა, ხოლო, მეორე მხრივ, ნებელობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული იქნება განზრახვი დანაშაულისთვის პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, თუ დამდგარი შედეგის მიმართ პირს არამოძრავებდა განზრახვა თავისი ნიშნების შესაბამისი ფორმით, ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება გვექონდეს გაუფროთხილებელ დანაშაულთან ან საერთოდაც ისეთ ქმედებასთან რაც გამორიცხავს პასუხისმგებლობას.

თ. დონჯაშვილი განმარტავს, რომ განზრახვის ინტელექტუალური ელემენტი მდგომარეობს ცოდნაში, რაც შესაბამისად წარმოადგენს ადამიანის შეგნებაში იმ მოვლენების ასახვას რომელიც შესაძლებელია განხორცილდეს მომავალში, განზრახვის აუცილებელ ინტელექტუალურ ელემენტს წარმოადგენს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნების წინასწარი გათავალისწინება, პირი უნდა

³³მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 265-266

ითვალისწინებდეს ყველა იმ ნიშანს რომელიც კანონმდებელმა შეიტანა შესაბამისი ნორმის დისპოზიციაში, აგრეთვე იგი უნდა ითვალისწინებდეს ისეთ ნიშანსაც რომელიც კანონის განმარტების მეშვეობით ხდება, მაგ: როგორცაა მიზეზობრივი კავშირის დადგენა, თუნდაც ერთერთი ნიშნის გაუთვალისწინებლობა გამორიცხავს პირის განზრახვას.³⁴

ი. ვესელსი, ვ. ბოილკე განზრახვის ინტელექტუალურ ელემენტზე, გარდა ზემოთ აღნიშნული მოსაზრებისა აღნიშნავენ ასევე, რომ ნიშნელოვანია პირის გონებაში ჩამოყალიბებული იყოს კონკრეტული ქცევის ყველა ნიუანსი, მას წარმოდგენა უნდა ქონდეს ყველა იმ გარემოებაზე, რომელიც განხორციელებული შემადგენლობისთვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე პირს წინასწარ უნდა შეეძლოს განჭვრიტოს ის მავნე შედეგი, რომლის დადგომის მიზანიც გააჩნია. ამავედროს მას უნდა შეეძლოს წარმოისახოს გონებაში მისი ქმედების განვითარების შესაძლო ვარიანტები. აგრეთვე ყველა ის ნიშანი რომელიც უმართლობის შემადგენლობას ქმნის. „განზრახვისთვის დამახასიათებელი ცოდნა, როგორც დანაშაულის გარემოებების შესახებ აქტუალური ცოდნა, შესაძლოა ასევე ქცევისთვის ტიპური თანხმობები ცნობიერების ან მუდამ ხელმისაწვდომი თანამდევი ცოდნის სახით არსებობს. განზრახვის ინტელექტუალური მხარე მოიცავს აგრეთვე მართლწინააღმდეგობის შეგნებას რაც გულისხმობს მისი როგორც ფაქტობრივი ისე სამართლებრივი და ზნეობრივი მნიშვნელობის გაგებას. თუცა იგი როგორც განზრახვის კომპონენტი დგინდება ბრალის ეტაპზე.“³⁵

ზემოთ გამოთქმული შეხედულებისგან განსხვავებით ო. გამყრელიძე თვლის, რომ შედეგიანი დელიქტების შემადგენლობის დროს განზრახვის ინტელექტუალურ მომენტი ქმედებანთან ერთად უნდა მოიცავდეს ასევე შედეგის მიმართ ცოდნას და უნდა აცნობიერებდეს მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის, განზრახვის ინტელექტუალური მომენტი გულისხმობს სწორედ გათვალისწინებას და შეცნობას იმისას თუ რის ჩადენას აპირებს პირი, მას განობიერებული აქვს რა ხერხს და

³⁴თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალალი, ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2002, გვ. 166

³⁵ი.ვესელსი ვ.ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2010, გვ. 135

საშვალეებს იყენებს მისი მიზნის სისრულეში მოსაყვანად. მისივე თქმით განზრახვის ინტელექტუალური მომენტისთვის საკმარისია მოქმედ პირს გაცნობიერებული ქონდეს სისხლის სამართლის კანონით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები.³⁶

ი. ვესელსი, ვ. ბოილკე გამოთქვავენ შემდეგ აზრს, რომ განზრახვი ქმედების ცოდნის სფეროში მნიშვნელოვანი არ არის ამსრულებლის მიერ ქმედების ჩადენისას ობიექტურად განხორციელებული დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის ყველა დამაფუძნებელი და დამამძიმებელი გარემოებების შეცნობა, არც ის, პირს შეგნებული აქვს თუ არა ქმედების განხორციელების ყველა ძირითადი ნიუანსი და უმართლობის შემადგენლობის ყველა ის ნიშანი რაც აფუძვნებს კონკრეტული შედეგის განხორციელების რისკს. განზრახვის ცოდნის ელემენტის განხილვის დროს საკმარისია მხოლოდ იმის განსაძღვრა რომ მისთვის სულერთია თუ რა შედეგი დადგება.³⁷

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის დადგენის შემდეგ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ პირს ქონდა დანაშაულებრივი განზრახვა კონკრეტული შედეგის მიმართ და თუ მოხდება სწორი შეფასება იმისა, თუ რა ცოდნა გააჩნდა მას ქმედების განხორციელებისას, მოხდება დადგენა რომელი დანაშაულის ჩადენისკენ იყო მიმართული აღნიშნული განზრახვა.

მაგრამ მხოლოდ ინტელექტუალური ელემენტი არ არის საკმარისი განზრახვის დასაბუთებისთვის, ინტელექტუალური მომენტის გვერდით, ყოველთვის მოიაზრება ნებელობითი მომენტიც. სწორედ ამიტომ მის დასასაბუთებლად საჭიროა ამ ნიშნების კუმულაციური არსებობა.

თ. დონჯაშვილი აღნიშნავს რომ განზრახვის ნებელობის ნიშნის შინაარსი გამოიხატება პირის სურვილში ან მართლსაწინააღმდეგო შედეგის შეგნებულად დაშვებაში. პირდაპირი განზრახვის ნებელობითი კრიტერიუმი მიუთითებს იმაზე, რომ

³⁶ო.გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2008, გვ. 99

³⁷ი.ვესელსი ვ.ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2010, გვ. 134

პირს სურს და ითვალისწინებს დადგეს მის მიერ წინსაწარ განზრახული შედეგი, ეს ხდება მაშინ როცა ამ შედეგის განხორციელება პირის უშუალო მიზანს წარმოადგენს. ასევე პირი ნებელობით მოქმედებს თუ ის ითვალისწინებს, რომ მის ქმედებას აუცილებლად მოყვება თანმდევი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ანუ მისი მიზანი ერთობლიობაში მოიცავს მთელ დამდგარ შედეგს.³⁸

რაც შეეხება არაპირდაპირი განზრახვის ინტელექტუალურ მხარეს ამ დროს პირი აცნობიერებს ქმედების მართლწინააღმდეგობას და კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ნებელობითი მხარე ევენტუალური განზრახვისას გამოიხატება შემდეგში, რომ პირს არ სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა „პირდაპირი განზრახვისგან განსხვავებით, ევენტუალური განზრახვის დროს მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ წარმოადგენს არც მოქმედების მიზანს და არც ამ მიზნის განხორციელების საშუალებას. იგი არც განუყრელადაა დაკავშირებული პირის მიერ ნასურვები შედეგის განხორციელებასთან.“³⁹

გამომდინარე აქედან შედეგის დადგომას პირი უშვებს ან გულგრილად ეკიდება მას, თუმცა არ სურს დადგეს აღნიშნული მართლსაწინააღმდეგო შედეგი.

სხვა ავტორები, ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა ისეა აგებული, რომ კანონში მოცეულია მხოლოდ მოქმედება და მითითებულია ის თვისებები, რომელიც მას დანაშაულებრივ ხასიათს აძლევს, ხოლო შედეგის შემდგომი განხორციელება ამ დანაშაულის აუცილებელ ელემენტს არ წარმოადგენს. ასეთი დანაშაულის განზრახვისას პირის წარმოდგენა უნდა ვრცელდებოდეს თავდ ქმედებაზე და კანონში მითითებულ მის თვისებებზე და არა შედეგზე რომელიც მას შეიძლება მოყვეს.⁴⁰

რაც შეეხება ცალკეულ გარემოებებს ლ. მალლაკელიძე გამოთქვამს სხვადასხვა ავტორების შეხედულების საფუძველზე შემდეგ მოსზრებებს, „ქმედების შემადგენლობის ობიექტურ მხარეს ეკუთვნის არა მხოლოდ ფაქტობრივი

³⁸თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლადი, ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2002, გვ. 168

³⁹ იქვე, გვ. 170

⁴⁰სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ, გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2007, გვ. 130

აღწერილობითი ნიშნები, არამედ შეფასებითი ნიშნები, დანაშაულის აღწერილობით ნიშნების მიხედვით განზრახვის დასაბუთება შედარებით მარტივია. პიროვნებას ასეთ დროს არ მოეთხოვება გარემოებების მიმართ სამართლებრივი შეფასება, მთავარია, მან ეს ნიშნები ელემენტარულად, მარტივად აღიქვას, სისხლის სამართლის მეცნიერებაში საერთო მოსაზრება არ არსებობს იმის შესახებ, რა მოცულობით ან რა სიხშირით უნდა იქნეს წარმოდგენილი ასეთ ვითარებაში კოგნიტიური ელემენტი განზრახვის სფეროში. დღეს გაბატონებული პოზიცია ირჩევს შუალედურ გზას. კერძოდ, განზრახვის დასაბუთებლად ის, ერთი მხრივ, საქმის გარემოების ზედაპირული ცოდნით არ კმაყოფილდება, ხოლო, მეორე მხრივ, პიროვნებისგან არც იმას მოითხოვს, რომ მან თავის გონებაში ქმედების ზუსტი სუბსუმცია მოახდინოს. გამომდინარეობს იქიდან რომ შეუძლებელია დამნაშავეს ზუსტად ქონდეს გაცნობიერებული შეფასებითი ნიშნის სრული შინაარსი ამიტომ განზრახვის არსებობის დასადგენად საკმარისი უნდა იყოს პირის უფრო მეტად შემზღვეული წარმოდგენა ასეთი ელემენტის შესახებ.⁴¹

სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებული გაბატონებული შეხედულებით, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის აუცილებელი არ არის პირის მიერ ნორმატიული ნიშნების ზუსტი ინტერპრეტირება, საკმარისია, მას ამ ნიშნების „სოციალური მნიშვნელობა“ ზოგადად მაინც ჰქონდეს შეცნობილი. იმ შემთხვევაში როცა პირი არასწორედ აღიქვამს სხვადასხვა გარემოებებს შეიძლება ადგილი ქონდეს შეცდომას, „ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ნიშნებთან დაკავშირებული შეცდომის შემთხვევა, ისე, როგორც ქმედების შემადგენლობის აღწერილობითი ნიშნებთან მიმართებით დაშვებული შეცდომა, გაბატონებული შეხედულებით, საჭიროა განიხილებოდეს როგორც ფაქტობრივი შეცდომა. ამ დროს შესაძლოა, უარყოფილ იქნეს განზრახვის ერთ-

⁴¹ლ.მალაქელიძე, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 49

ერთი კომპონენტი-ცოდნა, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს მთლიანად განზრახვის გამორიცხვა.⁴²

ნებელობას რაც შეეხება უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, განზრახვის რომელი ფორმით არის დანაშაული ჩადენილი. „მიზნით დეტერმინირებულ განზრახვაში მის პირდაპირობას სწორედ ნებელობითი მომენტი განსაზღვრავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში ნებელობითი კომპონენტიუფრო დიდი მოცულობითაა წარმოდგენილი, ვიდრე ცოდნის ელემენტი, კონკრეტულად, რომ ითქვას, პირდაპირ განზრახვაში ქმედება იმდენად არის დელიქტური შედეგისკენ პირდაპირ მიმართული, რამდენადაც სუბიექტს ეს შედეგი სურს. არაპირდაპირი განზრახვის დროს კი ქმედება მხოლოდ ირიბად მიიმართება მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ, რაც განპირობებულია იმით, რომ სუბიექტი ესწრაფვის სხვა, განსაზღვრულ და არა კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო შედეგს.“⁴³

ლ. კუტალია მიიჩნევს რომ თუ დასაშვებია ის მიდგომა, რომ მიზანი უნდა შეესაბამებოდეს მხოლოდ ნებას და შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მხოლოდ სურვილს, მაშინ ერთმანეთისგან ვერ განხვავდება მიზნისა და ხერხის ცნებები რადგან ამის კრიტერიუმები ფიზიკურად არ არსებობს.⁴⁴

ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ევენტუალური განძრახვის დროს პირის ნებელობით ელემენტს უკავშირებს შედეგის მიმართ პირის არცოდნას, ასევე მის შეგნებულ დაშვებას ან გულგრილ გამოკიდებულებას ხოლო ვ. მაყაშვილს სხვა შეხედულებას ავითარებს იგი ევენტუალურ განზრახვას უკავშირებს შედეგის მიმართ პირის უნდობლობას, მის აცდენის იმედს და შედეგისადმი მის გულგრილ დამოკიდებულებას.⁴⁵

გამომდინარე აქედან განზრახვის ელემენტებს გამიჯვნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია ქმედების შემადგენლობის ეტაბზე, რადგან მნიშვნელოვანია გაირკვეს რა დამოკიდებულება ჰქონდა დანაშაულებრივი ქმედების

⁴²ლ.მაღლაკელიძე, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., გამოც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 52

⁴³იქვე, გვ. 55-66

⁴⁴ლ-გ. კუტალია ბრალი სისხლის სამართალში თბ., გამოც. „თბილისის უნივერსიტეტი“ 2000, გვ. 440

⁴⁵მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამოც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 286

გამნახორციელებელ პირს შედეგის მიმართ და რა ფსიქიკური დამოკიდებულება გააჩნდა ყოველ კონკრეტულ მომენტში.

იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება განზრახვის ელემენტების სიღრმისეულად გააზრება არ შეგვეძლება ვისაუბროთ პირის ბრალზე, რადგან არ გვექნება სახეზე დანაშაულის შემადგენლობა, სისხლის სამართალში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას მის მიერ განხორციელებული ქმედების მიმართ, შესაბამისად აუცილებელია რომ მკაფიოდ გამოიხატოს პირის სურვილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მომენტში რაშიც გვეხმარება სწორედ განზრახვის ელემენტების გამოკვეთა და გაანალიზება, შესაძლებელიაა ობიექტურ მხრივ სახეზე გვექონდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ნიშნები, მაგრამ სწორედ ქმედების სუბიექტური მხარე არსებითად ცვლიდეს მის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს.

2.4. ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების გამიჯვანა.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში ისევე როგორც სასამართლო პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ერთმანეთისგან გამიჯვნის პრობლემას. გამომდინარე იქიდან, რომ ევენტუალური განზრახვა შედგება შემეცნების და ნებელობის კომპონენტებისგან სწორედ ამ ელემენტების გააზრების შედეგად უნდა მოხდეს შედარება და განსაზღვრა მათ შორის არსებული ურთიერთკავშირისა.

სისხლის სამართლის ამ ცნებების უკეთ გასამიჯნად მნიშვნელობანია განვსაზღვროთ განძრახვასთან ერთად გაუფრთხილებელი დანაშაულის სტრუქტურა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი განმარტავს გაუფრთხილებელი დანაშაულის დეფინიციას ამ ნორმის თანახმად გაუფრთხილებელ დანაშაულს ორი სახე გააჩნია ესენია თვითიმედოვნება და დაუდევრობა.

საქართველოს სისხლის სამართლის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა..⁴⁶

ამავდროს მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში, გამომდინარე აქედან გაუფრთხილებლობის სფერო უფრო ვიწროა ვიდრე განზრახვის, რადგან რიგი დანაშაულებისა თავისი ბუნებიდან გამომდინარე არ შეიძლება ჩადენილი იყოს გაუფრთხილებლობით ან კანონის პირდაპირი მითითების ან კიდევ შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედების იურიდული ბუნებს გამო. სისხლის სამართლის კანონიდან გამომდინარე არ შეიძლება გაუფრთხილებელი დანაშაულის

⁴⁶საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 10

შემთხვევაში პირის დასჯა მომზადებისთვის, მცდელობითხვის ან თანამონაწილეობისათვის.⁴⁷

გარდა ამისა განზრახ და გაუფრთხილებელ ქმედებებს შორის საკანონმდებლო სანქციები ნიშნულზე დასხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომ რომ არ მოხდეს პირის უსამართლო მჯავრდება მნიშვნელოვანია იმ ძირითადი ასპექტების გამოყოფა რაც ამ ორ ცნებას განასხვავებს ერთმანეთისგან.

რაინჰარდ ფრანკმა ევენტუალური განზრახვის და თვითიმედოვნებით ჩადენილი ქმედებების გასამიჯნად გამოიყანა შედეგი ფორმულა რომლის მიხედვითაც, თვითიმედოვნების დროს პირი ამბობს, არაფერი არ მოხდება და ყველაფერი კარგად იქნება, მაშინ როცა ევენტუალური განზრახვის დროს ამბობს, შეიძლება ასე ან სხვანაირად მოხდეს, მარა ყველა შემთხვევაში მე ამას გავაკეთებ და თუ შედეგი დადგება არა უშავს.⁴⁸ სწორედ ამ მიდგომამ წარმოშვა შემდგომში ხვადასხვა თეორია რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში განვითარებულია სხვადასხვა თეორიები რომელთა ზოგადი დაყოფა ხდება კლასიკურ და თანამედროვე თეორიებად. კლასიკურში მოაზრება წამოდგენის თეორიები ხოლო მეორე შემთხვევაში ნებელობის თეორიები.

კლასიკური თეორიების შემთხვევაში არაპირდაპირი განზრახვის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ცოდნა ქმედების განხორციელების საფრთხის შესახებ, რაც შეეხება ნებელობას ამ თეორიების მიხედვით პირს მისი გააზრება არ მოეთხოვება შესაბამისად თვითიმედოვნებასთან მისი განსხვავება ხდება მხოლოდ ცოდნის სფეროს მეშვეობით.

შესაძლებლობის თეორიის მიხედვით თუ პირს რომელმაც ჩაიდინა ქმედება გაცნობიერებული ქონდა ამ ქმედების განხორციელების კონკრეტული შესაძლებლობა იგი მოქმედებდა მხოლოდ ევენტუალური განზრახვით ხოლო თუ

⁴⁷თ.დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2002, გვ. 177

⁴⁸ლ.მინდაძე ო.მინდაძე, თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე, ქუთ., გამომც. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2011, გვ. 49

შედეგის მხოლოდ აბსტრაქტულ საფრთხეს ხედავდა და კონკრეტულ საფრთხეზე არც უფიქრია იგი მოქმედებდა თვითიმედოვნებით.

ალბათობის თეორიაც იგვივე აზრს ავითარებს, აღიარებს მხოლოდ შედეგის დადგომის შეცნობადობას, მათი გამიჯვნისას ნებელობის ელემენტს არ ანიჭებს მნიშვნელობას. რის გამოც ძნელი ხდება მისი გამიჯვა თვითიმედოვნებისაგან.

რისკის თეორიების მიხედვით პირი განზრახ მოქმედებს მაშინ როცა კონკრეტული რისკის მდგომარეობას თავად შექმნის შეგნებულად და ამ ქმედების განხორციელებაზე უარს არ ამბობს, ამ თეორიის თანახმად საკმარისია ის რომ პირმა რისკის შესახებ იცოდეს ან სერიოზულად აღიქვამდეს მას ანუ იცოდეს რომ მისი ქმედება მისივე შეფასებით, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით რისკის მდგომარეობას წარმოშობს, თუ რისკი უმნიშვნელოა ამ შემთხვევაში გამოირიცხება განზრახვა, ხოლო დაუდევრობასთან მისი გამიჯვნა ხდება ობიექტური შემადგენლობის ეტაპზე ვოლუნტატიური მომენტის დადგენის გარეშე.⁴⁹

რაც შეეხება ნებელობის თეორიებს რომლებიც ღესდღეობით ითვლება თანამედროვე თეორიებად, მათ მიხედვით ევენტუალურ განზრახვას აქვს ორი ნიშანი რომელიც დამოუკიდებელია, ესენია, ქმედების განხორციელების ცოდნა და ნებელობა. პირდაპირი განზრახვისგან იგი განსხვავდება არა მხოლოდ სტრუქტურით არამედ ამ ორივე კომპონენტის შინაარსით, ხოლო დაუდევრობისგან ნებელობის ელემენტის არსებობით. ანუ განზრახვა არის ქმედების მთლიანი შემადგენლობის ნებელობით განხორციელება, ხოლო თვითიმედოვნება ნების გარეშე ხოციელდება.

არსებობს ნებელობის თეორიების სხვადასხვა სახეები, შედეგის მოწონების თეორიის მიხედვით განზრახ მოქმედებს ის პირი, რომელიც შედეგის დადგომას შესაძლებლად მიიჩნევს და შედეგს შინაგანად იწონებს, ხოლო ის ვინც იმედოვნებს რომ შედეგი არ დადგება მოქმედებს განზრახვის გარეშე. თანაბარმნიშვნელოვნების

⁴⁹ლ.მინდაძე ო.მინდაძე, თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე, ქუთ., გამოც. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2011, გვ. 49-50

თეორიის მიხედვით შედეგის დადგომას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია ის, რომ პირი შედეგს შესაძლებლად მიიჩნევს და გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

თანაბარმნიშველოვნების თეორიის მიხედვით სულერთია დადგება თუ არა შედეგი, რადგან ამ დროს პირი შედეგის დადგომას შესაძლებლად მიიჩნევს და გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

შედეგის თავიდან აცილების თეორიის მიხედვით განზრახ მოქმედებს ის პირი რომელიც თავისი მოქმედებით განხორციელებული არასასურველი შედეგი შესაძლებლად მიაჩნია მაგრამ მისი ნება არაა იქითკენ მიმართული რომ ეს შედეგი თავიდან იქნეს აცილებული.

შედეგის დადგომის რიალურობის აღქმის თეორიის თანახმად ევენტუალური განზრახვა სახეზეა, როცა პირს სამართლებრივი სიკეთისთვის ზიანის მიყენება შესაძლებლად მიაჩნია და ამ ფაქტთან შეგუებულია, ხოლო თუ პირიქით იმედოვნებს რომ შედეგი არ დადგება ამ შემთხვევაში საქმეგვაქვს დაუდვრობასთან.⁵⁰

ევენტუალურ განზრახვას ადგილი შეიძლება ქონდეს მაშინ თუ ამსრულებს ქონდა შესაძლებლობა თავი შეეკავებინა აღნიშნული ქმედების განხორციელებისაგან და მისი ქცევა ამართლებს იმ დასკვნას რომ პირი დასახული მიზნის მიღწევის სურვილის შესრულების დროს მორჩილებით ურიგდებოდა ქმედების შემადგენლობის განხორციელების რისკს. მისთვის მთავარია მიიღოს კონკრეტული შედეგი და მნიშვნელობა არ არქვს რა მოყვევება მას. რაც შეეხება დაუდვრობას ასეთ შემთხვევაში ამსრულებელს გულწრფელად სჯერა რომ იგი თავიდან აიცილებს მოსალოდნელ შედეგს.⁵¹

ო. გამყრელიძის აზრით შედეგისადმი პირის დამოკიდებულება ევენტუალური და თვითიმედოვნებით ჩადენილ დანაშაულებს შორის განსხვავდება შემდეგი კრიტერიუმებით, პირველი ეს არის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ანუ პირის ცოდნა მის მიერ განსახორციელებელ ქმედების მიმართ, რაც ქმედების

⁵⁰ლ.მინდაძე ო.მინდაძე, თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე, ქუთ., გამომც. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2011, გვ. 51

⁵¹ი.ვესელსი ვ.ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2010, გვ. 128-129

ინტელექტუალურ მხარეს წარმოადგენს, აღნიშნული გულისხმობს შემდეგს, რომ თვითიმედოვნების დროს შედეგის განხორციელების წარმოდგენა აბსტრაქტულია, ხოლო ევენტუალური განზრახვის დროს კონკრეტიზირებული. რაც შეეხება მეორე ნიშანს იგი ვინდება ნებეობით მხარეში არაპირდაპირი განზრახვის დროს პირი უშვებს შედეგის დადგომას, ეგუება მის განხორციელებას ან გულგრილად ეკიდება მას. თვითიმედოვნების დროს კი პირი დარწმუნებულია რომ მის მართსაწინააღმდეგო ქმედებას შედეგი არ მოყვება, თუმცა მისი ეს ვარაუდი უსაფუძვლო და მცდარია.⁵²

ო. მინდაძე ლ. მინდაძის აზრით მართალია საკანონმდებლო დეფინიციაში პირდაპირ არ არის მითითებული რომ პირს არ სურდა დამდგარი შედეგი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას რომ ნებელობის ხარისხი ნულის ტოლია, აქ იგულისხმება მხოლოდ ის გარემოება, რომ ქმედების ჩამდენი პირი არ მოქმედებს მიზნით დეტემინირებული ნებელობით, თუმცა საბოლოო ჯამში ის ვინც ახორციელებს განზრახვი ქმედების შემადგენლობას, თუნდაც არაპირდაპირი განზრახვით თავისი შეგნებული ქმედებით ყოელთვის მოქმედებს შედეგისადმი ნებელობის გრძნობით, სწორედ ეს ფაქტორია განმასხვავებელი თვითიმედოვნებით ჩადენილი ქმედებისაგან რომელიც როგორც განზრახვა პირის შეგნებული ქმედებაა.⁵³

ი. ვესელსი, ვ. ბოილკე საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად სასამართლოს გადაწყვეტილებებს ეყრდნობა, რადაც ნათქვამია ევენტუალური განზრახვა სახეზია იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებელს გაცნობიერებული აქვს შედეგის, როგორც მოსალოდნელი და არც თუ ისე შორს მდგომი მოვლენის დადგომის შესაძლებლობა და იწონებს მას. მხარდამჭერი მონონება მაშინ ჩაითვლება გამჟღავნებულად თუ ამსრულებელი თვალსაჩინო საფრთხის მიუხედავად მაინც შეასრულებს საკუთარ ჩანაფიქრს, ისე რომ არ ექნება იმის იმედი რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება ამ შემთხვევაში, იგი მხოლოდ შემთხვევას

⁵²ო.გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2008, გვ. 118

⁵³ლ.მინდაძე ო.მინდაძე, თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე, ქუთ., გამომც. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2011, გვ. 43

მიანდობს იმ საფრთხის განხორციელებას ან განუხორციელებას რისი ალბათობაც მან თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით თავად დააფუძვნა.⁵⁴

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაც სწორედ ეხება თვითიმედოვნებისა და არაპირდაპირი განზრახვის გამიჯვნას, ქმედება გამოიხატებოდა შემდეგში მსჯავრდებულმა ლ.ჯ-მ რომელიც იყო ინსპექტორ-გამომძიებელი განახორციელა გასროლა მანქანიდან მ-ბ-ს მისამართით, რომელიც ქურდობის ჩადენის ფაქტზე ცხელ კვალზე უნდოდა აეყვანა, რასაც მოჰყვა მ. ბ-ს სიკვდილი, დაცვის მხარე თავის საჩივარში მოითხოვდა უდანაშაულოდ ეცნოთ ლ. ჯ რადგან მან განახორციელა გამაფრთხილებელი გასროლა და მ. ბ-ს სიკვდილი იყო მხოლოდ უბედური შემთხვევა, ხოლო რაც შეეხება პროკურორის მოთხოვნას, იგი მოთხოვდა გაუქმებულიყო სააპელაციო სასამართლოს განაჩენი რომლის მიხედვითაც ლ. ჯ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და ლ. ჯ დამნაშავედ ყოფილიყო ცნობილი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილ მკვლელობაში. სასამართლომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე რის საფუძველზეც საკასაციო პალატა დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით დასტურდება ლ. ჯ-ს ქმედებაში გაუფრთხილებელი დანაშაულის ნიშნების არსებობა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღწერილ ვითარებაში ლ. ჯ-ს მიზანი იყო არა მ. ბ-ს ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის ხელყოფა, არამედ ავტომანქანის შეჩერება, რის გამოც გაისროლა მან ავტომანქანის მიმართულებით, რა დროსაც მას გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, კერძოდ, გარდა ავტომანქანის გაჩერებისა, შესაძლებელი იყო ავტომანქანის საჭესთან მჯდომი ადამიანის, ამ შემთხვევაში, მ. ბ-ს ჯანმრთელობის დაზიანება ან მისი სიცოცხლის მოსპობაც. თუმცა, ლ. ჯ-ი იმაზე დაყრდნობით, რომ ავტომანქანა დიდი სისწრაფით

⁵⁴ი.ვესელსი ვ.ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2010, გვ. 127

მოძრაობდა და უკვე მისგან შორ მანძილზე იმყოფებოდა, იმედოვნებდა, რომ მოძრავი ავტომანქანის მიმართულებით გასროლის შემთხვევაში არ დადგებოდა სხვა მძიმე შედეგი, გარდა ავტომანქანის დაზიანებისა, ხოლო ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის ხელყოფა თავიდან იქნებოდა აცილებული. სინამდვილეში როგორც აღმოჩნდა, იგი უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამჯერად ასეთი შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. გარდა ამისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ იმ ვითარებაში, როდესაც სუბიექტი ახორციელებს მიზანმიმართულ გასროლას მოძრავი ავტომანქანისაკენ, შეუძლებელია იმავდროულად არ ითვალისწინებდეს გასროლილი ტყვიის მიზნიდან გადახრისა და ამ ავტომანქანაში მყოფი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სუბიექტი არის პოლიციელი, მრავალწლიანი სამსახურებრივი და პროფესიული საქმიანობის, აგრეთვე ცეცხლსასროლ იარაღთან ურთიერთობისა და სხვადასხვა რთულ სიტუაციებში მისი გამოყენების გამოცდილებით. აქვე საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ქმედების განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, კერძოდ, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, დამნაშავის მიერ დაზარალებულის სიკვდილის, როგორც შედეგის შეგნებულ დაშვებას ან ამ უკანასკნელის დადგომისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.⁵⁵

გამომდინარე აქედან შესაძლოა ითქვას რომ არაპირდაპირ განზრახვა თვითიმედოვნებას ემიჯნება, ამ ორ სამართლებრივ ცნებას შორის არსებობს ბევრი მსგავსება მაგრამ მათ შორის არსებობს არსებითი განსხვავებები ამიტომ, მნიშვნელოვანია სწორედ განისაზღვროს განზრახვის ინტელექტუალური და ვოლუნტატური ელემენტი, პირველ შემთხვევაში რაც ცოდნაში გამოიხატება, აქ თითქმის არ არსებობს განსხვავება რადგან ორივე შემთხვევაში პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი ხოლო

⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება №86აპ-16

რაც შეეხება ნებელობით მომენტს ამ შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს განსხვავებულ გარემოებასთან რაც არსებითად ცვლის ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციას, რადგან განზრახვისას პირი უშვებს და სურს შედეგი ან გულგრილად ეკიდება მას და სულერთია რა შედეგი დადგება, ხოლო გაუფრთხილებლობისას ასეთი ჩანაფიქრი გამორიცხულია წინააღმდეგ შემთხვევაში თუ პირი თუნდაც სულ მცირედით უშვებდეს რომ შედეგი დადგება, გამორიცხული სახეზე იყოს გაუფრთხილებელი დანაშაული.

2.5. ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენის მცდელობა.

ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებულია შეხედულება, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვით შეიძლება განხორციელდეს, თუმცა ეს არარის ერთიანი პოზია რადგან განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები, რომლიდანაც ჩანს რომ შესაძლებელია დანაშაულის მცდელობა განხორციელდეს არამხოლოდ პირდაპირი, არამედ ევენტუალური განზრახვითაც.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახვი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარებში მოცემულია აზრი, რომ დანაშაულის მცდელობის დროს სისხლის სამართლით დაცულ ინტერესს უშუალო საფრთხე ექმნება, მათი აზრით საფრთხის არსი უნდა გაირკვეს ფილოსოფიური კატეგორიების გზით როგორცაა შესაძლობლობა და სინამდვილე, რომლის მიხედვითაც შესაძლებლობას ახასიათებს ალბათობის მაღალი ხარისხით სინამდვილედ ქცევის ტენდენცია, შესაძლობლობა შესაძლოა დავეყოთ აბსტრაქტულ-ლოგიკურად და რიალურად. ხოლო რიალური შესაძლებლობა შესაძლოა დაიყოს აბსტრაქტულად და ლოგიკურად. აბსტრაქტული რიალური შესაძლებლობის დროს

არარსებობს ის საკმარისი პირობები რომელიც მას რიელობად აქცევს, ხოლო რიალური შესაძლებლობა დიდი ალბათობით შესაძლოა სინამდვილედ იქცეს, შესაბამისად ამ დროს საფრთხე უფრო საშიშად უნდა ჩაითვალოს⁵⁶

თ. წერეთელი თვლიდა რომ ევენტუალური განზრახვის დროს შეუძლებელია მცდელობის განხორციელება რადგან დამნაშავის ნება ამ შემთხვევაში არ არის მართული შედეგის გადგომის შესაძლებლობისაკენ, მას არგუმენტად მოყავდა ის პრობლემური საკითხები რაც დაკავშირებული იყო ევენტუალური განზრახვით ჩადენილი დანაშაულის მიმართ იმ შემთხვევაში, როცა შედეგი უშუალოდ არ ღვება, ანუ როცა პირმა მისი მიზანი განახორციელა მაგრამ გვერდითი შედეგი რომელის მიმართაც არსებობდა არაპირდაპირი განზრახვა არ დადგა, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს იმ მუხლით რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობის საფრთხის განზრახ შექმნისთვის ხოლო თუ შედეგი დადგა პირმა პასუხი უნდა აგოს შესაბამისი მუხლით.⁵⁷

ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი აზრით განზრახვა უმოქმედობის დროს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს უნდა მოიცავდეს, პირს უმოქმედობის დროს გაცნობიერებული უნდა ქონდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის დადგომის და ამ შედეგის თავიდან აცილების დადგომის შესაძლებლობა, გარდა ამისა მისი აზრით პირმა უნდა იცოდეს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას მოქმედების ვალდებულება აკისრია, განზრახვა უმოქმედობის დროს აგრეთვე მოიცავს პირის გადაწყვეტილებას არ განახორციელოს შესაძლო ქმედების შემადგენლობა, თუ პირმა არ იცის რომ საფრთხე არსებობს და მას შეუძლია ეს შედეგი თავიდან აიცილოს ან და მართლსაწინააღმდეგო შედეგის შესაჩერებლად საჭირო საშუალებები არ გააჩნია უნდა გამოირიცხოს განზრახვა, როგორც ქმედების შემადგენლობის ნიშანი და პირმა

⁵⁶მ.ლეკვეიშვილი, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. გამომც. „მერიდიანი“ 2014 გვ. 150

⁵⁷მ.ლეკვეიშვილი, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. გამომც. „მერიდიანი“ 2014 გვ.151

კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თუ მან დაარღვია წინდახედულობის ნორმები, შეიძლება პასუხი აგოს გაუფრთხილებლობისთვის.⁵⁸

გარდა ამისა უმოქმედობის დასჯადობისთვის საჭირო არ არის არსებობდეს პირდაპირი განზრახვა მისი ჩადენა ევენტუალური განზრახვითაც შეიძლება, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ პირი ან ევენტუალური განზრახვით ან თვითიმედოვნებით მოქმედებდა მაგრამ შედეგი არ დადგა, მაშინ ევენტუალური განზრახვით მცდელობისთვის ან გაუფრთხილებლობისთვის პირის პასუხისმგებლობა არ დადგება, იგი სამართლებრივი გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლოა პასუხისმგებლობაში მიეცეს განსაცდელში მიტოვებისათვის პირდაპირი განზრახვის დროს, შედეგის დადგომამდე შესაძლებელია მარტივად დადგინეს რა ქმედების ჩასადენად იყო მიმართული პირის მიზანი და შესაბამისად სახეზე გვექნება თუ რა დანაშაულის მცდელობას აქვე აღვილი, ხოლო ევენტუალური განზრახვის და გაუფრთხილებლობის დროს, სადაც შედეგი არ შეესაბამება ქმედების მიზანს, შეუძლებელია დადგინდეს თუ რა ქმედების ჩადენისკენ იყო მიმართული პირის ევენტუალური განზრახვა თუ შედეგი უშუალოდ არ დადგა, რადგან ამ დროს შეუძლებელია მოხდეს ზუსტი კვალიფიკაცია.⁵⁹

მიზანი წარმოადგენს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის ნიშანს, შესაბამისად ამისა, შეუძლებელია მცდელობად ჩაითვალოს ისეთი რამ რაც პირის მიზანს არ წარმოადგენდა, ეს აზრი შეიძლება დასაბუთდეს იმით რომ ევენტუალური განზრახვის დროს შეუძლებელია დასაბუთდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის გარდაუვალობა. მაგალითად როცა დედა ტოვებს ჩვილ ბავშვს ეტლით სხვის ეზოში ძნელია ამ შემთხვევაში საუბარი მკვლელობის გარდაუვალობაზე, თუმცა ამ შემთხვევაში არსებობს კონკრეტული საფრთხე რომელიც შესაძლოა რომ მიაღვეს სამართლებრივ სიკეთეს, შესაბამისად ამისა მათ სწორედ მიაჩნიათ კანონმდებლის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შემოტანილი საფრთხის შემქმნელი დელიქტები, რომლებიც სპეციალურ შემადგენლობას ქმნის და ევენტუალური

⁵⁸მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომ. „მერიდიანი“ 2011, გვ. 235

⁵⁹ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომ. „მერიდიანი“ 2011, გვ. 236

განზრახვის დროს სჯის პირს არა მცდელობისთვის, რომლის დადგენას ფაქტობრივი გარემოებებიდან შეუძლებელია, არამედ საფრთხის დაფუძვნებისთვის რომლის აშკარა ხარიათი ქმედების განხორციელების გარეგნული ნიშნებიდან სჩანს.⁶⁰

კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების შემოღება ემსახურება იმ მიზანს რომ ევენტუალური განზრახვის მცდელობის შეუძლებლობის გამო დაუსჯელი არ დარჩეს ადამიანისთვის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა, რადგან კანონმდებელი ადამიანის სიცოცხლის როგორც უმნიშვნელოვანესი ღირებულების დაცვას პირველ პლანზე აყენებს და და საფრთხის შექმნის მომენტიდან იწყებს. მაგ. ასეთ მუხლს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლი, რომელიც იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დანესებას მასზე, ვინც ადამიანს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში აყენებს.⁶¹

ო გამყრელიძე თვლიდა რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა არაპირდაპირი განზრახვისას მცდელობის შესაძლებლობა აღნიშნული შინაარსის მუხლები არ იქნებოდა შემოტანილი სისხლის სამართლის კერძო ნაწილში.⁶²

მ.ტურავა თვლის რომ ის იურისტ-მეცნიერები, რომლებიც ამბობენ რომ არ არსებობს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადების მცდელობა არ არიან საკუთარ პოზიციაში დარწმუნებულები და ვერ ასაბუთებენ მათი შეხედულების სამართლიანობას, ტურავას აზრით შესაძლებელია ევენტუალური განზრახვით დადგინდეს მცდელობის ჩადების შესაძლებლობა და საჭირო არ არის მისი პირდაპირი განზრახვის დადგენის სავალდებულობა. რადგან ევენტუალური განზრახვა ქმედებისა და შედეგის ნებელობაა, ვისაც გააჩნია ასეთი ნება დანაშაულის ჩადებისა და მიუხედავად ობიექტურად განხორციელებული ქმედებისა შედეგს ვერ

⁶⁰მ.ლეკვეიშვილი, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. გამომც. „მერიდიანი“ 2014 გვ.152

⁶¹მ.ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ.მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. გამომც. „მერიდიანი“ 2014 გვ. 153

⁶²იქვე, გვ. 155

მიაღწია, უნდა დაისაჯოს დანაშაულის ჩადენის მცდელობისთვის მიუხედავად იმისა, რომ მან თავისი განზრახვა ვერ შეასრულა.⁶³

ტურავას აზრით დამაჯერებელი არ არის იმის მტკიცება, რომ დანაშაულის ჩადების დროს ევენტუალური განზრახვისას ქმედება არ იყო მიმართილი შედეგის დადგომისაკენ. რადგან ამ შემთხვევაში, როგორც ევენტუალური განზრახვის ისე პირდაპირის განზრახვის დროს პირს ამოძრავებს შედეგისადმი ნებელობითი დამოკიდებულება, ამიტომ მათ შორის განსხვავება არ არსებობს, რადგან ორივე შემთხვევაში არსებობს კონკრეტული რისკი, რომელი სოციალურად საშიშია და მიმართულია მისი სისრულეში მოსაყვანად. იგი არ ეთანხმება ოპონენტებს იმ პოზიციას, რომ მცდელობა ევენტუალური განზრახვის დროს არ არსებობს და თუ პირის ქმედებამ, მაგალითად, მკვლელობის დროს არაპირდაპირი განზრახვით სასიკვდილო შედეგი არ გამოიწვია არ უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც განზრახი მკვლელობა, ხოლო თუ შედეგი დადგა მაშინ კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დაზიანების ხარისხის მიხედვით, მაგ: ჯამრთელობის მზიმე დაზიანებით, ან სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენებით რაც მისი აზრით არასწორია რადგან თუ პირმა განიზრახა ადამიანის მოკვლა და შედეგი ვერ აღასრული უნდა მოხდეს მისი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა მცდელობის მუხლით.⁶⁴

მ. ტურავა აზრით პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა როგორც ქმედების სუბიექტური მხარის ნიშანი შედგება ორი კომპონენტისაგან ქმედების ობიექტური ნიშნების ცოდნისგან და მისი განხორციელების სურვილისაგან, განზრახვის სხვა სახეებში კი სურვილი იცვლება ნებელობით, ევენტუალური განზრახვის დროსაც არსებობს ნებელობა ანუ ნორმატიულად გაგებული სურვილი, რომელიც იცვლება ამ ფორმით მცდელობისთვის დასჯადობის ობიექტურ საფუძველს.⁶⁵

⁶³მ. ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 303

⁶⁴მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 305-306

⁶⁵იქვე, გვ. 319

აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თუ ქმედება, რომელიც პირდაპირი განზრახვით არის ჩადენილი შესაძლებელია მისი კვალიფიკაცია მცდელობის მუხლით, სრულიად არაალოგიკურია, რატომ არ უნდა უშვებდეს კანონმდებლობა არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედების მცდელობის დასჯადობის საფუძველს, შესაბამისად სწორედ მივიჩნევ არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის ჩადენის მცდელობას, რადგან თუ არაპირდაპირ განზრახვას მივიჩნევთ განზრახვის ერთ-ერთ სახედ უნდა დავუშვათ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის ჩადენის მცდელობა. ის ფაქტი, რომ ევენტუალური განზრახვის დადგენა საკმაოდ რთულია ეს სულ სხვა პრობლემაა, მაგრამ თუ დადგინდა, რომ პირი ქმედების განხორციელებისას თუნდაც აბტრაქტულად უშვებდა რომ შედეგი დადგებოდა, შესაძლებელია პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკვლელობის მცდელობისთვის.

2.6. განზრახვის ადგილი ობიექტური შერაცხვის ეტაპზე

ობიექტური შერაცხვის კატეგორია წარმოადგენს ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნაწილს. თუ მიზეზობრივი კავშირი ან ობიექტური შერაცხვა არ გვაქვს, არ არის შესრულებული ქმედების ობიექტური შემადგენლობა.

სისხლის სამართლის თეორიიდან გამომდინარე განზრახვი ქმედებისთვის დასჯადობის საფუძველია ის ფაქტი, რომ პირს განზრახვის სურვილი გააჩნია ქმედების განხორციელების მომენტში.

შესაძლებელია პირს განზრახული ქონდეს მკვლელობა, მაგრამ გადაუაროს ამის სურვილმა ან ქონდეს განზრახვა მარა შედეგი გამიწვიოს გაუფრთხილებელმა

ქმედებამ, მაგ ა-განზრახული ქონდა ბ-ს სიკვდილი მაგრა შემთხვევით საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო დაეჯახა ბ-ს და მოუსპო სიცოცხლე.

მ. ტურავა ყურადღებას ამახვილებს ქმედების განხორციელების შემდეგ განზრახული შედეგისადმი სურვილის გაქრომას, მაგ: ა-მ მოკვლის მიზნით სხეულის მძიმე დაძიანება მიაყენა ბ-ს შედეგი მაშნვე არ დამდგარა ა-ს უკვე აღარ სურდა ბ-ს სიკვდილი და ნანობდა კიდევ აღნიშნულს, მაგრამ შედეგი სიკვდილის სახით დადგა ამ შემთხვევაში არსებობს დამთავრებული განზრახ მხელელობა მიუხედავად სინანულისა. ასევე დამთავრებულ მკვლელობად უნდა ჩათვალოს ის შემთხვევა, როცა ქმედების ამსრულებელი შეცდომას დაუშვებს მსხვერპლის პიროვნებაში.⁶⁶

ო. მინდაძე ლ. მინდაძის მოსაზრებით განზრახი ქმედების დასჯადობისთვის აუცილებელია ის მომენტი, რომ პირს განზრახვა ქონდეს ქმედების განხორციელების მომენტისთვის არარის საკმარისი ისეთი განზრახვა, რომელიც აღნიშნულ ქმედებას წინ უსწრებს ან რომელიც პირს გაუჩნდება ქმედების ჩადენის შემდეგ. მაგ ა-ს გამიზნული ქონდა ეჭვიანობის ნიადაგზე ბ-ს მოკვლა თუმცა გადაიფიქრა, ხოლო შემდეგ იარაღთან დაუდევარი მოპყრობით გამო შემთხვევით მოკლა იგი, ამ შემთხვევაში გამორიცხულია ა. დაისაჯოს განზრახი ბ-ს მკვლელობის ჩადენისთვის.⁶⁷

სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლიდან გამომდინარე თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანამდევნი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავეს განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება. ხოლო განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა.⁶⁸

⁶⁶მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 311-312

⁶⁷ლ.მინდაძე ო.მინდაძე, თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე, ქუთ., გამომც. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2011, გვ. 46

⁶⁸საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 11

ლომსაზის აზრით ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია განზრახ დანაშაულსა და მძიმე შედეგს შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, თუმცა დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა უნდა იყოს ჩადენილი განზრახ ხოლო რაც შეეხება თანმდევ შედეგს იგი გამონვეული უნდა იყოს გაუფრთხილებლობით⁶⁹ მაგ: ა.მჯამრთელობის მძიმედ დაძიანების განზრახვით ქვა ჩაარტყა ბ.-ს თავში, რასაც შემდგომში პირის გარდაცვალება მოჰყვა. ამ შემთხვევაში არსებობს ბრალის ორმაგი ფორმა პირდაპირი განზრახვა ჯამრთელობის მძიმე დაზიანების მიმართ ხოლო გაუფრთხილებლობა სიცოცხლის მიმართ.

ალტერნატიული განზრახვის დროს პირს განზრახული აქვს ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთიდან ხელყოს რომელიმე, მნიშვნელობა არ აქვს რომელი, მაგ: ა. მოკვლის განზრახვით ისვრის იარაღს გ-ს და ბ-ს მიმართულებით რათა ერთ-ერთი მოკლას თუ შედეგი ორივეს მიმართ დადგა, ერთის მიმართ მოხდება კვალიფიკაცია განზრახ მკვლელობისთვის მეორეს მიმართ მკვლელობის მცდელობისთვის. ამავედროულად ალტერნატიული განზრახვის დროს მნიშვნელოვანი სამართლებრივი ღირებულებების დადგენა რადგან იგი ცვლის კვალიფიკაციას. თანაბარმნიშვნელოვანი სიკეთეების დროს კვალიფიკაცია მოხდება იმ შედეგით რაც დადგა ერთის მიმართ მეორეზე მცდელობის მითითების გარეშე, ხოლო რაც შეეხება არათანაბარ მნიშვნელობის სიკეთეებს მაგ: ადამიანის სიცოცხე და ნივთის დაზიანება, ამ შემთხვევაში თუ შედეგი სიკვდილის მიმართ დადგა გვეყნება დამთავრებული განზრახი დანაშაული მკვლელობის, ნივთის დაზიანების მცდელობაზე მითითების გარეშე, ხოლო თუ მაგ: ნივთი დაზიანდა ადამიანის სიცოცხლის მიმართ დადგება მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაცია, ხოლო თუ არცერთი სიკეთე არ დაზიანდა უნდა მოხდეს კვალიფიკაცია უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის მცდელობით⁷⁰

კუმულაციური განზრახვის დროს კი პირს განზრახული აქვს ხელყოს ორი ან მეტი სამართლებრივი სიკეთე ერთდროულად. მაგ: სურვლი აქვს როგორც მოკლას

⁶⁹მ.ლომსაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამოც. „უნივერსალი“ 2014, გვ. 44

⁷⁰მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამოც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 315

ადამიანი ისე დააზიანოს მისი ნივთი. ამ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი სამართლებრივი სიკეთე გადარჩა ყველა შემთხვევაში გვექმნა ერთის მიმართ დამთავრებული დანაშაული ხოლო მიეორეს მიმართ მცდელობა. გენერალური განზრახვის დროს შედეგი ღგება არა იმ ქმედებით, რომელიც ამსრულებელმა განახორციელა განზრახი მოქმედებით არამედ გაუცნობიერებლად მისი შემდგომი ქმედების შედეგად. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის გადანყვეტა თუ რამდენად არსებითია გადახრა მიზნობრივი კავშირის განვითარებაში მაშინ შეცლომა ირელევანტურია და შედეგის შერაცხვა ჩვეულებრივ მოხდება. მაგ: ა-მ გადააგლო ბ. წყალში მოკვლის მიზნით მას ეგონა რომ დაიხრჩობოდა მაგრამ ჩაგდებისას ქვაზე თავი დაარტყა და იმით გარდაიცვალა, შესაბამისად მოხდა არსებითი გარდახრა მიზნობრივი კავშირიდან და არ საჭიროებს დამატებით კვალიფიკაციას, მაგრამ თუ მოხდა ისე რომ არსებითი გადახრაა მიზნობრივის განვითარებაში უნდა მოხდეს პასუხისმგებლობა ბრალის ორმაგი ფორმით მაგ: განზრახვის მკველობის მცდელობა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.⁷¹

გამომდინარე აქედან ობიექტური შერაცხვის ეტაპზე უნდა დადგინდეს ყველა ის დეტალი, რომელიც მიზნობრივ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან და ქმის სისხლისამართლებრივ უმართლობას.

თავი III. კვლევის შედეგები

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, შეგვიძლია ვისაუბროთ იმ კონკრეტულ შედეგებზე, რომელიც კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით იქნა გამოკვეთილი, თემის აქტუალურობიდან და სირთულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჩამოვაცალიბოთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი, რაც გამოიკვეთა ნაშრომზე მუშაობისას. დასაწყისშივე შესაძლებელია ითქვას, რომ განზრახვის დასაბუთებისას პრობლემური საკითხები წარმოიშვა ძირითადი სამართლებრივი სისტემების განვითარების კვალდაკვალ, რომელმაც

⁷¹იქვე, გვ. 313-318

თანდათანობით სრულიად შცვალა სისხლის სამართლის დოგმატიკა და არსებითი ცვლილებები შეიტანა დანაშაულის ცნების ჩამოყალიბებაში.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხები, პირველი არის ის, რომ განზრახვის არსის დასაბუთებისას, კითხვის ნიშნები იკვეთება დანაშაულის სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრაში, მაგ: ავტორთა გარკვეული ნაწილი, დღესაც მიიჩნევს, რომ განზრახვის ადგილი ბრალის სტრუქტურაში უნდა განვიხილოთ, რადგან არ შეიძლება განზრახვა მხოლოდ ფსიქოლოგიური კატეგორიიდ შემოიფარგლოს, ხოლო მეორე მხრივ ამ აზრის საპირისპიროდ სხვა ავტორები ასაბუთებენ განზრახვის ადგილს ქმედების სუბიექტური მხარის ნიშნის ფარგლებში, მაგ: მ. ტურავა განზრახვას ბრალისგან განასხვავებს იმით, რომ განზრახვა არის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული და არა წმინდა შეფასებითი კატეგორია. ხოლო რაც შეეხება მართლწინააღმდეგობის შენებას, რომელიც თავისი ხასათიდან ბრალის ეტაბზე დგინდება, განზრახვის დროს ყოველგვარი შეფასებისგან თავისუფალია.⁷²

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ რომ იმ მეცნიერების შეხედულებები რომლებიც განზრახვას ბრალში მოიაზრებენ ეყრდნობა ნეოკლასიკური სისტემის მოძღვრებას და შესაბამისად ბრალის ფსიქოლოგიურ-ნორმატიული თეორიის შეხედულებას. ხოლო რაც შეეხება საპირისპირო მოსაზრებებს იგი თანამედროვე ანუ ფინალური სისტემის ჭეშმარიტების დასაბუთებას წარმოადგენს და აღიარებს ბრალის წმინდა ნორმატიულ თეორიას, სადაც ბრალი დაცლილია ყოველგვარი სუბიექტური ნიშნებისგან და გასაკიცხაობას წარმოადგენს. ფაქტია, რომ ორივე შეხედულებას აქვს არსებობის უფლება, რადგან მას გააჩნია თავისი დასაბუთების კონკრეტული საფუძვლები და იგი სისხლისსამართლებრივად რელევანტურია.

რაც შეეხება მეორე ძირითად პრობლემურ საკითხს, რაც გამოიკვეთა კვლევიას, ეს შეეხება განზრახვის ერთ-ერთი სახის, არაპირდაპირი განზრახვის და შეგნებული გაუფროთხილებლობის ანუ თვითიმედოვნების ურთიერთგამიჯვნას, ამ

⁷²მ.ტურავა, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 319

შემთხვევაში კვლევაში მოცემული ყველა მოსაზრება ეყრდნობა განზრახვის ელემენტების, კერძოდ ცოდნისა და ნებელობის შინაარსს, აღნიშნულ საკითხში მათი მოსაზრებები მეტნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს.

როგორც ევენტუალური განზრახვის ისე თვითიმედოვნების დროს ცოდნის კომპონენტი თითქმის ანალოგიურია ერთმანეთის, მაგრამ რაც შეეხება განზრახვის მეორე ელემენტს, ნებელობას, სწორედ ეს განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან, განზრახვის დროს პირი უშვებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას ან გულგრილად ეკიდება მას, ხოლო თვითიმედოვნების დროს, ნებელობა არ არსებობს, ამდროს პირი დარწმუნებულია, რომ შედეგს თავიდან აიცილებს. გამომდინარე აქედან, აღნიშნულის დადგენა მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების შესწავლიდან გამომდინარე შეიძლება, რადგან პრაქტიკაში ძალიან რთულია ადამიანის ფსიქიკური დამოკიდებულების დადგენა კონკრეტული ქმედების მიმართ, თუ შედეგი უშუალოდ არ დადგა.

აღნიშნული საკითხი, როგორც თეორიულად ისე პრაქტიკულად სისხლის სამართლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, შესაბამისად აუცილებელია რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად იქნეს დადგენილი ყველა ის სუბიექტური თუ ობიექტური ელემენტი, რომელიც პირს ამოძრავებს ქმედების განხორციელების მომენტში.

გარდა ამისა სამაგისტრო ნაშრომი გამოიკვეთა ის პრობლემური საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობით ჩადენის შესაძლებლობაზე, ფაქტია ის რომ სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი, გაზრახვა კი თავის თავში გულისხმობს, როგორც პირდაპირ ისე არაპირდაპირ განზრახვას, ავტორთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ იმ შემთხვევაში თუ არაფერ არ დაობს პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედების რელევანტურობაზე, რატომ უნდა იწვევდეს ევენტუალური განზრახვა ამდენ კითხვის ნიშანს სამართლის მეცნიერებაში, რადგან ფაქტია, რომ ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს განზრახ ქმედებას.

ამ შემთხვევაშიც პრობლემის გაანალიზება დაყვანილ იქნა განზრახვის ელემენტების სწორედ გააზრების საფუძველზე, ცოდნა და ნებელობა განზრახვის ორივე სახის სტადიაზე არსებობს, მაგრამ მცდელობით დასჯადობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ მათი არსებობის დადგენა ორივე ეტაპზე, თუ პირდაპირი განზრახვის დროს შედეგის დადგომის მიუხედავად პირს შეერაცხება განზრახული ქმედების მცდელობა, არაპირდაპირი განზრახვის დროს, თუ შედეგი არ დადგა ვერ დასაბუთდება განზრახვის ხარისხი და შესაბამისად ვერ დადგინდება რა მიზანს ისახავდა პირი ქმედების განხორციელებისას, ხოლო თუ შედეგი დადგა უკვე იქნება სახეზე დამთავრებული დანაშაული და პირი დამდგარი შედეგის შესაბამისად აგებს პასუხს სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად.

რაც შეეხება განზრახვას ადგილს ობიექტური შერაცხვის სტადიაზე, ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირის განზრახვის ყოველ დეტალს, რადგან შესაძლებელია პატარა ცდომილებამაც კი შეცვალო მთელი ფაბულა რომელზე დაყრდნობითაც წარმოებდა გამოძიება.

განზრახვა შეიძლება ითქვას, რომ პირის ქმედების მამოძრავებელი ფსიქიკური დამოკიდებულებაა შედეგის მიმართ, თუ არ არსებობს განზრახვა და პირის ცნობიერებაში არ არის ყველა ძირითადი დეტალი გაცნობიერებული, იგი არსებითად ცვლის ყველა სამართლებრივ გარემოებას.

ნაშრომში გამოკვეთილი პრობლემური საკითხების გაანალიზებისას ნათლად გამოჩნდა რომ, განზრახვი ქმედების ბუნება ცდება აბსოლიტური ჭეშმარიტების დადგენის ფარგლებს და ის მუდამ შეათვასის და დისკუსიის საგანი იქნება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული ნაშრომის საფუძველზე განზრახვა წარმოადგენს დანაშაულის სისტემაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს. ნაშრომში გამოიკვეთა სხვადასხვა მისაზრებები, არგუმენტები, პოზიციები, რომლებიც მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობებისა მეტნაკლებად ავსებენ ერთმანეთს.

დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ეყრდნობა სწორედ დანაშაულის სამწევროვან დაყოფის იდეას. შესაბამისად სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე დადგენილი იქნება ქმედების შემადგენლობის სამივე ნიშანი ერთდროულად, პირველი ნიშანი ეს არის ქმედების შემადგენლობა, რომელიც იყოფა ობიექტურ და სუბიექტური მხარისგან, სწორედ ამ უკანასკნელში მოიაზრება განზრახვა, მეორე ნიშანი არის მართლწინააღმდეგობა, ხოლო ბოლო ნიშანს წარმოადგენს ბრალი. თუ აღნიშნული სამი ელემტიდან ერთერთი მაინც ვერ დადგინდა სახეზე არ გვექნება დანაშაულის შემადგენლობა. ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის დადგენა ქმნის სწორედ სისხლისამართლებრივ უმართლობას, ხოლო რაც შეეხება ბრალს მისი დადგენის შემთხვევაში უკვე სახეზეა სისხლის სამართლის კანონით დაცული რომელიმე სიკეთის ხელყოფა.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი მასალებზე დაყრდნობით განზრახვა ბრალისგან განსხვავებით, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ შეფასებით კატეგორიას, არის როგორც წმინდა ფსიქოლოგიური, ისე ნორმატიულ-შეფასებითი კატეგორია. რადგან სხვადასხვა მეცნიერი განსხვავებული კუთხით ახასიათებს მას.

რაც შეეხება განზრახვის ელემენტების მნიშვნელობას, შეიძლება ითქვას რომ სწორედ ეს სამი ელემენტი, ცოდნა, ნებელობა და მართლწინააღმდეგობის შეგნება განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებისას მის სამართლებრივ გაკიცხვის საფუძველს, ცოდა და ნებელობის ხარისხი განასხვავებს ერთმანეთისგან პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვას, რადგან ცოდნის კომპონენტი შეიცავს ყველა იმ ნიუანს რაც ქმედების განხორციელებისას მნიშვნელოვანი გარემოებებია, აგრეთვე მასში არის წინასწარ გააზრებული უმართლობის დამაგუძვნებელი ყველა ნიშანი იმგვარად, რომ მას ქმედების განხორციელების მომენტში თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე გაცნობიერებული აქვს ის რისკი, რომელიც სოციალურად საშიშია, აღნიშნულის დადგენის შემდეგ უკვე შეფასების საფუძველზე ხდება პირის მიცემა სისხლისმამართლებრივ პასუხისმგებლობაში.

გამომდინარე აქედან, ცოდნის უწყვეტ ხასიათს და იმის დადგენას რომ პირი ყოველ კონკრეტულ მომენტში თავის შესაძლებლობიდან გამომდინარე წარმოიდგენდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას, აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ხოლო ნებელობის კომპონენტი ამ დროს წარმოადგეს გადამწყვედ ელემენტს, აქ უკვე ყველაფერი დამოკიდებულია პირის ნებაზე რა შედეგის დადგომა სურს მას, და როგორია მისი დამოკიდებულება სამართლებრივი სიკეთების მიმართ.

ამავდროულად, ნებელობის ელემენტს ენიჭება განსაკუთრებული ყურადღება, როცა ხდება გამიჯვნა ერთმანეთისგან ევენტუალური განზრახვით და თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის, ამ შემთხვევაში გადამწყვეტია რამდენად უშვებს პირი შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუ იგი ამას ერთი პროცენტით მაინც უშვებს ეს ფაქტი არსებითად ცვლის დანაშაულის კვალიფიკაციას.

რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგობის შეგნებს, იგი განზრახვის ეტაპზე წარმოადგენს მხოლოდ, იმის შეგნებას დამნაშავისაგან რომ იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს და თავისი აქტიური ქმედებით ხელყოფს, აზიანებს ან საფრთხეს უქმნის სისხლის სამართლით დაცულ სიკეთებს. რაც შეეხება უკვე შეფასებას რამდენად მართლსაწინააღმდეგო იყო ეს ქმედება საბოლოოდ დგინდება ბრალის ეტაპზე.

დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ განზრახვა სამართლის მეცნიერებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, შესაბამისად მასზე კრიტიკული მსჯელობა სავსებით რიალური და საფუძვლიანია, გარდა ამისა, აღნიშნული განსხვავებული მოსაზრებები კიდევ უფრო ხვეწავს და ნათლად წარმოაჩენს განზრახვის როლს სისხლის სამართალში.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2008;

2. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013;
3. ვაბისონია ი., თორღია გ., საქართველოს სისხლის სამართალი, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2018;
4. დაუთაშვილი პ., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი“, 2008;
5. დონჯაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2002;
6. ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბ., 2010;
7. კუტალია ლ-გ., ბრალი სისხლის სამართალში თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“ 2000;
8. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, თბ. გამომც. „მერიდიანი“, 2014;
9. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „უნივერსალი“, 2014;
10. მალლაკელიძე ლ., განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013;
11. მინდაძე ო., მინდაძე ლ., თანამედროვე მოძღვრება დანაშაულზე, ქუთ., გამომც. „აკაკი წერეთლის სახეკმწუფო უნივერსიტეტი“, 2011;
12. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ე., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011;
13. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, თბ., გამომც. „ივერიონი“, 2015;

14. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, რედ, გ., ნაჭყებია, ი., დვალიძე, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007;
15. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, რედ, გ., ნაჭყებია; ნ., თოდუა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2016;
16. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა. თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013;
17. ტურავა მ., დანაშაულის მოძღვრება, თბილისი გამომც. „მერიდიანი“, 2011;
18. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007;
19. წერეთელი თ., ტყეშელაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, თბ., გამომც „მეცნიერება“ 1969;

უცხოური ლიტერატურა

20. Дурманов Н.Д., Понятие преступления, М., 1948;
21. Трайнин А.Н., Учение о составе преступлений, М., 1946;

სასამართლო პრაქტიკა

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება №86აპ-16;
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №118აპ-18 ;

ნორმატიული აქტები

24. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 (ახ. რედ.);
25. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999;

ვებ. გვერდები

26. <https://matsne.gov.ge>
27. <http://www.library.court.ge>
28. <http://www.nplg.gov.ge/>
29. <http://prg.supremecourt.ge>